# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 აპრილი, 2008 წელი.

№ 64 (5922)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## სიცოცხლე-სიყვარულმისჯილი პოეტი...

**ასი შეკითხვა ასი წლის მარიკა ბარათაშვილს**

8-9



*2008 წლის 7 აპრილს, 17 საათზე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება გამოჩენილი პოეტის მარიკა ბარათაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.*

## ვინ და რატომ თხზავს ტყუილს ბიძინა ივანიშვილის მიმართ?

3





13

## „გეოპოლიტიკური გადატრიალება“ თუ საქართველოს დასჯა?

**რამაზ საყვარელიძე:**

2

## ათიანში ვერა, მაგრამ რვიანში გავარტყით

**ბოლოს და ბოლოს!**

## საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი გენერალური დირექტორი



საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორად ლევან ქუბანეიშვილი დაინიშნება.

გადაწყვეტილება გუშინ სსმ-ის სამეურვეო საბჭომ განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ გამოაცხადა. კენჭისყრა ხელმეორედ მას შემდეგ გაიმართა, რაც პირველ ტურში ლევან ყუბანეიშვილმა და პაატა ნაცვლიშვილმა ოთხ-ოთხი ხმა მიიღეს. ერთი ხმა კი გიორგი უჩუმბეგაშვილს ერგო.

გამარჯვებული კანდიდატი მხოლოდ განმეორებით ტურში გამოირკვა.

ვულოცავთ ლევან ყუბანეიშვილს ამ საპატიო თანამდებობაზე არჩევა-დანიშვნას და ვუსურვებთ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მილიონობით მაყურებლის იმედების გამართლებას!

# დროის პროგნოზი

• სახალხო დამცველის შეფასებით, შემთხვევით შერჩეული პირველი 12 უბნიდან, შვიდში ვიდეოთვალმა უმძიმესი დარღვევები აღნუსხა, ორში ვიდეოთვალი გამოირთო(!!!) და მხოლოდ სამში იყო ნორმალური შედეგი. ცხადია ისიც, რომ იმ უბნებში, სადაც ზედმეტი ხმებია დაფიქსირებული, ხმები საერთოდ არ დაუთვლიათ და მხოლოდ ოქმებში მანიპულირება ხდებოდა



## ◎ ბუქარესტის სამიტის ექო

# რამაზ საყვარელიძე: ათიანში ვერა, მაგრამ რვიანში გავარტყით

## ჩვენი ბედი იმაზეა დამოკიდებული, ვინ იქნება თეთრი სახლის მომავალი მფლობელი

**რამ განაპირობა ბუქარესტის სამიტზე უკრაინასა და საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე უარი — შიდაპოლიტიკურმა თუ საერთაშორისო პროცესებმა, თუნდაც კოსოვოს პრეცედენტმა? — ამ შეკითხვით მივმართეთ ექსპერტ რამაზ საყვარელიძეს.**

— ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ძალიან შემცირდა ამის შანსი, არც საქართველოს შიდა პროცესები იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც რუსეთის, უფრო სწორად, მსოფლიო პროცესები. კოსოვოს აღიარებამ და მასზე რუსეთის ძლიერმა რეაქციამ და მუქარამ, რომ ის საქართველოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ჩამოაცლის, გამოიწვია დასავლეთის რეაქციაც. ეს იყო ნატოს გაფართოება უკრაინისა და საქართველოს მიმართულებით.

მაგრამ ბოლო მომენტამდე არავინ იცოდა, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრებს შორის რომელი ქვეყნების ხმა გადაწონიდა, ანუ რამდენს აღმოაჩნდებოდა რუსეთთან დაპირისპირების უნარი და ვინ იქნებოდა შეშინებული. გაურკვეველი იყო, რუსეთთან ბრძოლის რეჟიმზე გადავიდოდა თუ არა ნატოს ყველა ქვეყანა. მასთან დაპირისპირების უნარი ფაქტობრივად ერთადერთ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს, დანარჩენი ქვეყნები კი ცდილობენ, ამ დაპირისპირებაში არ შევიდნენ. საბოლოოდ გაირკვა, რომ რუსეთთან ბრძოლის რეჟიმზე ყველა ქვეყნის გადაყვანა ვერ მოხერხდა.

**— ბუნებრივია, რუსეთი სერიოზული სტრატეგიული პარტნიორია და მას ევროპა ანგარიშს უწევს. ასეთი სტრატეგია, ალბათ, უახლოეს ხანში არ შეიცვლება...**

— მაინც მგონია, რომ არსებითად ელიან ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის განახლებას, თუ ვინ იქნება თეთრი სახლის მომავალი მფლობელი,იმის მიხედვით შეიცვლება სტრატეგიაც, ან უფრო აგრესიული გახდება ან შემცირდება ეს მუხტი.

**— ნატოს გენერალური მდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის განცხადებით, ნატოს ქვეყნის ლიდერები მხარს უჭერენ უკრაინისა და საქართველოს ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაზე გადასვლას. ამის შესახებ გადაწყვეტილებას დეკემბერში ნატოს სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები მიიღებენო...**

— დიახ, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებით, საგარეო საქმეთა მინისტრებს მიენიჭათ იმის უფლება,რომ თუ ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, მაპი მისცენ საქართველოსა და უკრაინას.

**— თქვენი აზრით, რას ნიშნავს ახალი საკონსულტაციო ეტაპი „ინტენსიური მიწვევა"?**



— ნატოისტი არ ვარ. ამიტომ სრულყოფილ პასუხს ვერ გაგცემთ. ალბათ, იგულისხმება ნატოს პროგრამებისთვის უფრო ინტენსიური მომზადება, მისი სტანდარტების გატარება.

**— ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა, რომ ნატოში არ იღებენ ქვეყნებს „გაურკვეველი" საზღვრებით, ნატო თავს ვალდებულად არ მიიჩნევს, საქართველოში ტერიტორიული დავის პრობლემებით იყოს დაკავებულიო... იყო თუ არა ეს არსებითი მომენტი მაპის მინიჭების დროს?**

— არა მგონია ეს აზრი მართალი იყოს. მაშინ ყველა ქვეყანას ერთნაირად უნდა ეთქვა უარი და სალაპარაკო აღარაფერი ყოფილიყო. არც სარკოზის უნდა განეცხადებინა, რომ საქართველო და უკრაინა ჩვენი მეგობრები არიან და მათ დავეხმარებით, ნატოს სტანდარტების დონეს რომ მიაღწიონო. სარკოზიმაც კარგად იცის, დეკემბრამდე კონფლიქტების მოგვარება შეუძლებელია და დეკემბერში ამ საკითხის გადატანა გულისხმობს, რომ არსებითი კონფლიქტები კი არა, რაღაც სხვაა.

**— რა დემოკრატიული რეფორმები? ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ისიც დასძინა, მივესალმებით დემოკრატიულ არჩევნებს, რომლებიც საქართველოში მაისში ჩატარდება და ნატოში წევრობა შემდეგი ეტაპი იქნებაო...**

— არა მგონია, ამის მიზეზი არჩევნების ხარისხი იყოს, მაშინ მაპზე უარს სწორედ ამ მოტივით გვეტყოდნენ. საპრეზიდენტო არჩევნები მრავალი ხარვეზით ჩატარდა და ბევრი რამ იძლევა საბაბს საიმისოდ, რომ გვითხრან, არჩევნების ხარისხი არ ვარგოდა და ამიტომ უარს გეუბნებითო. ასეთი მოტივი ბუქარესტში არ გახმიანებულა, იმის მიუხედავად, რომ ოპოზიციის ნაწილმა სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება. თუ საპრეზიდენტო არჩევნები მოტივად არ გამოიყენეს, მეეჭვება, რომ მათთვის საპარლამენტო არჩევნების ავკარგიანობა იყოს არსებითი.

მაგრამ თუ რაიმე პოლიტიკური მიზეზით არ მოინდომებენ საქართველოს მიღებას ალიანსში, მაშინ შეიძლება არჩევნების ხარვეზებმა შეასრულოს საბაბის, და არა მიზეზის როლი.

**— რას ნიშნავდა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის განცხადება, ნატოს სამიტის მონაწილეთა უარი საქართველოსა და ამერიკისთვის მაპის მინიჭების თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების დამარცხებას არ ნიშნავსო?**

— კი, მაგრამ, ახლა ხომ არ იტყვის, დავმარცხდითო? ჩემი აზრით, ბუქარესტის სამიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა, ნატოში გაწევრიანების ძალიან დიდი ალბათობაა, ასეთი მიმზიდველობა საქართველოს ამ თვალსაზრისით არასდროს ჰქონია. ეს არაფერს ნიშნავს? პირდაპირ მაპი უნდა მოეცათ? ალიანსში ძალთა ისეთი გადანაწილებაა, პირდაპირ ვერ მოგვცეს. ეს იყო არა მარცხი, არამედ შუალედური შედეგი, ანუ მაპი გადავადდა გარკვეული დროით, ოღონდ საკმაოდ სერიოზული დაპირებით. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარ თავს აძლევს იმის უფლებას, რომ ეს დღე მარცხად არ მიიჩნიოს და არც საქართველომ უნდა იგრძნოს თავი დამარცხებულად. ანუ, რაც მიზანში გვქონდა ამოღებული, მივიღეთ მასთან ახლოს მყოფი შედეგი. ათიანში ვერა, მაგრამ რვიანში ხომ გავარტყით? ხომ შეიძლება რაღაცით კმაყოფილი იყოს საქართველო?

**— თქვენ დასაწყისში რუსეთის ფაქტორი ახსენეთ. ჩვენთვის მაპის მონიჭების მოწინააღმდეგე რვა ქვეყანამ რუსეთს გაუწია ანგარიში, თუ არსებითი ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებია?**

— რუსეთის გამო რომ უარი ეთქვათ, გასაკვირი არ არის, მაგრამ მაინც მგონია, რომ რთული კომბინაციის გამო წავიდნენ წინააღმდეგი. მხოლოდ რუსეთის ფაქტორის გამო არც დეკემბერში არ გადაიტანდნენ ამ საკითხს და უფრო შორეულ პერსპექტივად მოიაზრებდნენ.

სავარაუდოა, რომ უარი გამოიწვია იმან, რომ ჯერ არ გარკვეულა, რა ურთიერთობა ექნებათ მთავარ მოთამაშეებს — ამერიკასა და რუსეთს, ანუ რუსეთი არის ფაქტორი, მაგრამ ამერიკაც ფაქტორია. რუსეთშიც ახალი პრეზიდენტია, ვისაც პოლიტიკური სახე არ შეუქმნია და ამერიკაშიც ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. ვფიქრობ, ალიანსს ამ სიახლეების გარკვევამდე არ სურს ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელმაც შემდეგ შეიძლება უხერხულობა გამოიწვიოს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## ◎ მხილება

# სახალხო დამცველი კატეგორიულად მოითხოვს საარჩევნო დარღვევებში მონაწილე პირების დასჯას

**გუშინ საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც წარმოადგინა 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს ვიდეოთვალის მიერ დაფიქსირებული არჩევნების გაყალბების მტკიცებულებანი რაც ომბუდსმენს საფუძველს აძლევს კატეგორიულად მოითხოვოს, როგორც ამ გაყალბებაში მონაწილე პირთა, ისე ცესკოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.**

სახალხო დამცველის ოფისმა, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერებიდან მხოლოდ 12 ვიდეოჩანაწერს მოპოვება შეძლო. მოპოვებული ჩანაწერები შეისწავლეს და საზოგადოებას უჩვენეს. სოზარ სუბარის წარმოდგენილ ვიდეომასალაში ცხადად ჩანს ის დარღვევები, რომელზედაც ცესკომ თვალი დახუჭა და ამ ფაქტებს საგულდაგულოდ მალავდნენ.

საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, კამერებმა ასახეს, თუ როგორ აძლევდნენ ხმას ერთი და იგივე პირები ერთ საარჩევნო უბანში რამდენჯერმე, თუ როგორაა ხელოვნურად გაბერილი უბნების შემაჯამებელი ოქმების მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობა, რეალურად კი კამერებში ჩანს, რომ ამომრჩეველთა აქტივობა ბევრად ნაკლებია.

სახალხო დამცველის აპარატმა შემთხვევით შეარჩია 12 კამერის ეს ჩანაწერი, რომელიც ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ სიტუაციას ასახავს. სუბარის მიერ წარმოდგენილი დარღვევები ააშკარავებენ გორის რამდენიმე უბანზე, მარნეულში, ზუგდიდში, ბოლნისში მომხდარ უკანონობას.

სახალხო დამცველის შეფასებით, შემთხვევით შერჩეული პირველი 12 უბნიდან, შვიდში ვიდეოთვალმა უმძიმესი დარღვევები აღნუსხა, ორში ვიდეოთვალი გამოირთო(!!!) და მხოლოდ სამში იყო ნორმალური შედეგი. ცხადია ისიც, რომ იმ უბნებში, სადაც ზედმეტი ხმებია დაფიქსირებული, ხმები საერთოდ არ დაუთვლიათ და მხოლოდ ოქმებში მანიპულირება ხდებოდა.

სოზარ სუბარმა კატეგორიული ტონით განაცხადა, რომ აუცილებელია დანარჩენი უბნების შესწავლაც, სადაც ვიდეოთვალი იყო დამონტაჟებული,რათა ერთი მხრივ, უფრო მეტად გამოიკვეთოს გაყალბების მასშტაბები, ხოლო, მეორე მხრივ, დაისაჯონ და საარჩევნო პროცესს ჩამოსცილდნენ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაყალბებაში მონაწილე პირები.

სოზარ სუბარის გაკვირვებას იწვევს, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელოს საპარლამენტო არჩევნებს ლევან თარხნიშვილმა, რომელმაც დაჩქმალა და თავისთავად ხელი შეუწყო არჩევნების გაყალბებით ჩატარებას. მიაჩნია, რომ ასეთ ცესკოს თავმჯდომარეს მომავალი არჩევნებისთვის საზოგადოების ნდობის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. სახალხო დამცველი კატეგორიულად მოითხოვს დარღვევებში მონაწილე პირების დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სოზარ სუბარს სამართლებრივი არჩევნების ჩატარება შეუძლებლად მიაჩნია.

ამ პრესკონფერენციის ვრცელ მასალას გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**თამარ ბუზალაძე**

# ვაი „ავოეეესაგან“

ახლა კი მივმართავთ ჟურნალისტური ეთიკის საბჭოსაც, სასამართლოსაც და საზოგადოებასაც:
– მივმართავთ იმ პროფესიულ კავშირებსა თუ საბჭოებს, რომლებსაც საქართველოში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვა ევალებათ



◉ საჭირბოროტო საკითხი

## ვინ და რატომ თხზავს ტყუილს ბიძინა ივანიშვილის მიმართ?

### „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურის განცხადება

**31 მარტს „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურმა საინფორმაციო სააგენტოების „მედიანიუსისა“ და „ინტერპრესის“ მეშვეობით გაავრცელა განცხადება, რომელიც ეხებოდა ბიძინა ივანიშვილის მიმართ „ალია-ჰოლდინგის“ მიერ წამოყენებულ „ბრალდებებსა“ და აშკარა შეურაცხყოფებს. პრესსამსახურის ეს ვრცელი განცხადება-წერილი — „რატომ აქვთ აგრესია ბიძინა ივანიშვილისადმი“ — შემდგომ დღეებში დაიბეჭდა გაზეთებში „24 საათი (1 აპრილი, №74) და „ვერსია“ (2-3 აპრილი, №38).**

ამ წერილით ჩვენ სრულად და ამომწურავად დავასაბუთეთ ბოლო პერიოდში „ალია-ჰოლდინგის“ მიერ ბიძინა ივანიშვილის შესახებ გამოქვეყნებული მასალების სრული უსაფუძვლობა და ვამხილეთ „ალია-ჰოლდინგის“ გამოცემები ტყუილისა და სიცრუის გამიზნულად გავრცელებაში. ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილი იმდენად მყარ ფაქტებზეა აგებული, რომ მიკერძოებული გამომძიებელიც კი ვერანაირ ეჭვს ვერ შეიტანს.

ამასთან ერთად, ამ წერილის გამოქვეყნებით კიდევ ერთხელ გვინდოდა გვეჩვენებინა საზოგადოებისთვის, თუ როგორი მიუღებელი, უხერხული, ძალადობრივი და უმსგავსო თამაშის წესებით თამაშობს „ალია-ჰოლდინგი“, როგორ შეგნებულად თხზავს ტყუილს ზოგადად და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის პიროვნების მიმართაც. მათ ჰოლდინგის გამოცემისთვის ჩვეული სიცრუის ისეთი კორიანტელი დააყენეს, ტყუილების ისეთი ნიაღვარი შესთავაზეს მკითხველს, რომ საკუთარ თავსაც კი „აჯობეს“.

ჩვენ ვწერდით, რომ „ალია-ჰოლდინგს“ არანაირი მორალური უფლება არ ჰქონდა, გამოეყენებინა რუსულ საიტზე (კომპრომატ. რუძ გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც რუსმა ჟურნალისტებმა იმთავითვე არასერიოზულად და არასანდოდ მიიჩნიეს. შესაბამისად, რუსული მედიასაშუალებებიდან არც ერთს — არც ჟურნალ-გაზეთებს, არც ტელევიზიებს, არც სააგენტოებს არ უსარგებლიათ ამ ინფორმაციით, რადგან ყველასთვის ცნობილი იყო, თუ ვინ იდგა ამ ინტერნეტგამოცემის უკან და როგორი სუსტი ინფორმაციული ბაზა გააჩნდა მას. პრესსამსახურის განცხადებაში ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ამ საიტზე ხელმძღვანელობამ, ინფორმაციის ავტორებმა ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელთა სამართლიანი, დასაბუთებული და მკაცრი მოთხოვნის შემდეგ აღიარეს, რომ მათი წყარო არაკომპეტენტური, მიკერძოებული იყო, ხოლო მასალები — ცილისმწამებლური. ამიტომაც იყო, რომ პირადად ბიძინა ივანიშვილს ბოდიში მოუხადეს.

მიუხედავად ამისა, საოცარი რამ მოხდა — ამ ფაქტის შემდეგაც კი „ალია-ჰოლდინგი“ ისევ „კომპრომატ.რუს“ არქივს მიადგა და ივანიშვილის შესახებ საიტის მიერ უარყოფილ მასალებს იყენებს. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა მედიასივრცეში, ერთგვარი სენსაციაც კი, როცა ჟურნალისტები ყველასაგან და რაც მთავარია, თვითონ ავტორისგან უარყოფილ ინფორმაციას უბრუნდებიან, ჩვენ პირადად სხვა მაგალითი არ გვახსენდება.

რას მივაღწიეთ „ქართუ ჯგუფის“ ვრცელი განცხადების გამოქვეყნების შემდეგ?

გარკვეულწილად იყო მოლოდინი იმისა, რომ მათ გაუჩნდებოდათ ბოდიშის მოხდის სურვილი. ამის ნაცვლად კი „ალიას“ 1-2 აპრილის ნომერში გამოგვეპასუხნენ შიდა გვერდზე მიჩქმალული წერილით — „ეს მაინც წააკითხეთ ბიძინა ივანიშვილს“, რომელიც უნიათო და უღონო გაბრძოლებას ჰგავდა. მართალია, ვეღარ გაბედეს მუქარა და ტყუილი, მაგრამ შეურაცხმყოფელი ტონი მაინც შეინარჩუნეს და მათთვის ჩვეული უდიერობა და უხეშობა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნეს. ამ „პასუხის“ თუნდაც ერთადერთი სიტყვა სტატიის ბოლოს (მკითხველს ბოდიშის მოხდით უნდა შევახსენოთ — „ავოეეე!“ძ უაღრესი სიზუსტით წარმოაჩენს ჟურნალისტსაც და „ალია-ჰოლდინგის“ გაზეთების სულისკვეთებასაც.

სამწუხაროდ, მათ ვერ მოუხმეს კი არა, არ მოუხმეს გონიერებას, რადგან „ალია-ჰოლდინგს“ არაფრად უღირს საზოგადოება, ჰგონია, რომ შეუძლია თავხედურად მოექცეს, ყველაფერი აკადროს...

ჩვენ ამ საზოგადოების წევრი ვართ და ვერ შევეგუებით ასეთ თავაშვებულობას. როცა „ქართუ ჯგუფის“ ინტერესები და პირადად ბიძინა ივანიშვილის ღირსება დავიცავით, შევეცადეთ და „ალია-ჰოლდინგს“ მათსავე „მინდორზე“, ანუ გაზეთებისა და სააგენტოების მეშვეობით, ანუ ინფორმაციული მეთოდებით ღირსეული ოპონირება გავუწიეთ. მათ უხეშობას, თამაშის ბინძურ წესებს კორექტულობა დავუპირისპირეთ, ჩვენ სიმართლე დავასაბუთეთ. ჩვენ პირადი „ომი“ მოვიგეთ, თანაც ისე, რომ პოლემიკის დროს არასდროს მოგვიმართავს თანადგომისთვის არც ჟურნალისტური ეთიკის საბჭოსთვის, არც საზოგადოებისთვის და არც სასამართლო გვიხსენებია.

ახლა კი მივმართავთ ჟურნალისტური ეთიკის საბჭოსაც, სასამართლოსაც და საზოგადოებასაც:

— მივმართავთ იმ პროფესიულ კავშირებსა თუ საბჭოებს, რომლებსაც საქართველოში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვა ევალებათ (და დღემდე, ჩვენდა სამწუხაროდ, უფუნქციოდ არიანძ, ხმა აღიმაღლონ იმ უმსგავსობის წინააღმდეგ, რასაც „ალია-ჰოლდინგი“ ეწევა. მათი პასიურობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ისეთ თავისუფლებას ანიჭებს, რაც საბოლოოდ ჟურნალისტის პროფესიის ერთგვარ დისკრედიტაციასაც იწვევს და მათდამი საზოგადოების უნდობლობასაც კიდევ უფრო აღრმავებს.

— მივმართავთ სასამართლოს. ეს არ არის მუქარა და ვინმეს სასამართლოთი დაშინების მცდელობა. ჩვენ გვამოძრავებს მიზანი:

სამართლებრივი გზით გამოაშკარავდეს, თუ რა ბინძური წესებით მუშაობენ ზოგადად „ალია-ჰოლდინგში“ და სასამართლომ მტკიცებულებების მეშვეობით უარი ათქმევინოს მას ასეთ მეთოდებზე, ამით ქართულ მედიასივრცეში შეიქმნება ისეთი პრეცედენტი, რომელიც სხვა გამოცემებისთვისაც გასათვალისწინებელი იქნება.

— მივმართავთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი რეაგირების შედეგად, იქნებ მოვახერხოთ და „ალია-ჰოლდინგს“ დავეხმაროთ შეიცვალოს მუშაობის სტილი, დაუბრუნდეს ჟურნალისტიკას, რისი პრეტენზიაც მას გააჩნია, შეიძინოს თავისი პროფესიის შესატყვისი სახე და ღირსების შეგრძნება (რისი ილუზიაც არა გვაქვს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ვკარგავთ იმედსძ. საამისოდ არ დავიშურებთ არანაირ ძალას, ყველა ღონეს ვიხმართ, მაგრამ თუკი ჩვენი მცდელობა შედეგს არ გამოიღებს, მაშინ საზოგადოებამ გამოკვეთილად უნდა განსაზღვროს მისი ადგილი ქართულ მედიაში და მიაკუთვნოს მას ყვითელი პრესის სახელი. ჩვენი აზრით, ეს სულაც არ უნდა იყოს დიდი ტრაგედია — მსოფლიოში ხომ უამრავი გამოცემაა, რომელსაც ყვითელ პრესას განაკუთვნებენ და თავისი ვიწრო მკითხველი ჰყავს.

მივმართავთ თხოვნით გაზეთების რედაქტორებს, სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებს, გამოაქვეყნონ ჩვენი ეს განცხადება. მისი გავრცელებით გამჟღავნდება თითოეულის პოზიცია, რამდენად სწორად მიაჩნიათ ჩვენი პრინციპული მოსაზრებები და საზოგადოებისთვისაც ნათელი გახდება მათი დამოკიდებულება ქართულ მედიაში შექმნილ ამ საჭირბოროტო საკითხზე.



◉ ევროკომისია

## საქართველოში დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ბალანსი ინსტიტუტებს შორის არაეფექტიანია

**საქართველოში ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობაა, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ძალაუფლება სუსტადაა გადანაწილებული, ხოლო დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ბალანსი ინსტიტუტებს შორის არაეფექტიანია. ამის შესახებ აღნიშნულია ევროკომისიის შუალედურ ანგარიშში, რომელიც საქართველოს მიერ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობას შეეხება.**

როგორც ანგარიშშია ნათქვამი, გასულ წელს დემოკრატიის, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების, ასევე ადამიანის უფლებების მიმართულებით სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, თუმცა, საანგარიშო პერიოდის დასრულებისას მომხდარმა მოვლენებმა აჩვენა, რომ აუცილებელია კანონის მოთხოვნების ზუსტი დაცვა.

ევროკომისია მიიჩნევს, რომ მიმდინარე წელი 2007 წელს მიღებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისთვის გადამწყვეტი იქნება. „2007 წლის ნოემბერში საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამ გამოავლინა პრობლემები, რომლებიც 2008 წლის მაისში დაგეგმილი არჩევნების გათვალისწინებით სწრაფად გადაწყვეტას საჭიროებს“, — აღნიშნულია ანგარიშში.

ევროკომისიის დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ შარშან საქართველომ მნიშვნელოვანი სავაჭრო და საინვესტიციო რეფორმები განახორციელა და მიუხედავად ძლიერი გარე დარტყმებისა, მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ვერ მოხერხდა ომბუდსმენის როლის გაძლიერება და ქვეყანაში გამოითქმება კრიტიკული შენიშვნები იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშს და მის საქმიანობას ხელისუფლება არ ითვალისწინებს. „2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნების მიერ ომბუდსმენის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ფაქტები სათანადოდ გამოძიებული არ არის“, — ნათქვამია ანგარიშში.

საქართველოსათვის ეს პირველი ანგარიშია, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას ეხება. 2006 წლის ნოემბერში საქართველოსთვის დამტკიცებული ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა 5 წელზეა გათვლილი.

ინტერპრესნიუსი

◉ ინფორმაცია

### ან საქართველო, ან რუსეთი...

**დეკემბერში ნატო გადაწყვეტს, უღირს თუ არა მას საქართველოს გულისთვის რუსეთთან ურთიერთობის გართულება. ამის თაობაზე ექსპერტმა შალვა ფიჩხაძემ განაცხადა.**

— დეკემბერში კვლავ განიხილავენ, ვიქნებით თუ არა ის ქვეყანა, რომლისთვისაც ნატო მზად იქნება რუსეთთან ურთიერთობები გაირთულოს. თავის დროზე, ნატომ ბალტიის ქვეყნების გამო ეს ნაბიჯი გადადგა, რადგან უღირდა, — განაცხადა ფიჩხაძემ.

ექსპერტის თქმით, სამიტზე მიღებულ კომუნიკეში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ყურადღებით დააკვირდება მაისში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ინტერპრესნიუსი

# გზად მომავლისკენ

**საქართველოს აქვს „MAP“-ის მიღების შანსები, მაგრამ საქართველოსგან ასევე ელიან გარკვეულ დიდ პროგრესს დემოკრატიის თვალსაზრისით და ეს შემთხვევით არ ჩაიწერა სწორედ საქართველოსთან მიმართებაში და არა უკრაინასთან მიმართებაში**



კომენტარი

***საქართველოსთვის ნატოს სამიტი დასრულდა. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უკრაინასთან ერთად საქართველოს აწუხებდა, მიიღებდა თუ არა ბუქარესტის ნატოს სამიტზე გაწევრების სამოქმედო გეგმას — „MAP“-ს, დადებითად არ გადაწყდა. თუმცა, ნატოს გენმდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის მიერ წაკითხული სამიტის კომუნიკეს ის პარაგრაფი, რომელიც საქართველოსა და უკრაინის ნატოსთან შემდგომ ურთიერთობას ეხება, არის პოზიტიური და წინ გადადგმული ნაბიჯი, — ასე შეაფასა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ბაქრაძემ გადაწყვეტილება ნატოს სახელმწიფოთა მეთაურებისა, რომელშიც ჩაიწერა, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოები მხარს უჭერენ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებას, მიესალმებიან რეფორმებს და პროგრესს რეფორმების თვალსაზრისით. მოუთმენლად ელიან საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრებს უფლება მიეცათ, შეისწავლონ პროგრესი, რომელიც საქართველოსთვის განმსაზღვრელი იქნება „MAP“-ის მიღების თვალსაზრისით.***

## „MAP“-ის მიღება ქვეყანაში დემოკრატიულ შიდარეფორმებზე იქნება დამოკიდებული

**პირველი ასეთი პროგრესის შეფასება ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა 2008 წლის დეკემბერში უნდა წარადგინონ, რის შემდეგაც ასევე საგარეო საქმეთა მინისტრები გადაწყვეტენ, მიიღებს თუ არა საქართველო ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმას.**

ამის გათვალისწინებით, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ უკრაინა სამიტზე მიღწეული შედეგით კმაყოფილია, მათ მიიღეს უფრო მეტი, ვიდრე ელოდნენ. საბოლოო კომუნიკეში გაკეთებული ჩანაწერი უკრაინისათვის უფრო დიდი მიღწევაა, ვინაიდან უკრაინაში არ არსებობს პოლიტიკური კონსენსუსი ნატოში გაწევრების საკითხზე და, რაც მთავარია, ნატოსადმი ხალხის ნდობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია — 35-40 პროცენტია. ამის გამო უკრაინამ უნდა ჩაატაროს რეფერენდუმი ქვეყნის ნატოში გაწევრების საკითხზე. აქედან გამომდინარე, უკრაინისათვის საქართველოსთან დაწყვილება კიევისათვის მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, **უკეთესი იყო, „MAP“-ის მიღება, მაგრამ ის, რაც ჩაიწერა და ის, რაც პირველად ითქვა ნატოს კედლებში, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები, ეს მნიშვნელოვანია.**

ნატოს სამიტის წინ რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა, დეპუტატებმა კონსტანტინე კოსაჩოვმა და სერგეი მარკოვმა საქართველოს მისამართით ძალიან მკაცრი განცხადებები გააკეთეს. მათი პოზიცია თითქმის ემთხვევა იმას, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გააკეთა. მათ, ლავროვის მსგავსად, საქართველოს ნატოში გაწევრების შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის პრობლემის გაღრმავებაზე, რუსეთის მიერ სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობაზე გაამახვილეს ყურადღება.

რაც შეეხება საერთოდ რუსეთის პოზიციას და იმას, რამდენად იყო გადამწყვეტი რუსეთის დემარში ნატოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, უფრო ადრე ნატოს გენმდივანმა სხეფერმა, გააკეთეს განცხადებები იმის შესახებ, რომ **არავის, მით უფრო მესამე ქვეყანას (იგულისხმებოდა რუსეთი), არ შეუძლია სასიცოცხლო გავლენა მოახდინოს ნატოს წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებაზე.**

რა თქმა უნდა, რუსეთის პოზიცია იყო მნიშვნელოვანი და როგორც ჩანს, ტაქტიკა, რომელიც აირჩია რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს ხელისუფლებამ, წინა წლებში ძალიან რადიკალური, ხისტი დამოკიდებულებისა იყო, განმსაზღვრელი იმისა, რომ რუსეთთან გამწვავებაზე არ წავიდა გერმანია. მაგრამ ამაზე ღიად არავინ საუბრობს.

სხეფერმა უპასუხოდ დატოვა ქართველი ჟურნალისტების შეკითხვა, თუ რომელი ქვეყნები იყვნენ გერმანიის და საფრანგეთის გარდა წინააღმდეგი საქართველოს მიერ **„MAP“**-ი, და თქვა, რომ ეს არის ნატოს სახელმწიფოთა მეთაურების პრივილეგია და რომ მას არ შეუძლია კომენტარი გააკეთოს მათ გადაწყვეტილებაზე.

**„MAP“**-ის მიღება-არმიღებასთან დაკავშირებით ზედმეტი ოპტიმიზმი საჭირო აშკარად არ იყო. მით უმეტეს, როდესაც საქმე 26-მა ქვყანამ უნდა გადაწყვიტოს, თან კონსენსუსის წესით. მიუხედავად ამისა, არანაირი დრამატიზმის საფუძველი არ არსებობს, რადგან ნატოს ისტორიაში, თუკი საქართველოს საკითხი 97-ე-98-ე ადგილზე იყო ხოლმე, ეს იყო სამიტი, როდესაც ავღანეთის, ახალი წევრების დასახელების, ბოსნია-ჰერცოგოვინასა და საერთოდ კოსოვოს საკითხის შემდეგ საქართველო-უკრაინის საკითხი რიგით IV იყო.

მთავარ პრესკონფერენციაზე ამ რიგითობით გამოიტანეს ეს პრიორიტეტები. საქართველოსა და უკრაინის მიერ **„MAP“**-ის მიღება-არმიღების თემა ამ სამიტის მთავარი ინტრიგა იყო. **აქედან გამომდინარე და იმ ჩანაწერით, რაც კომუნიკეში გაკეთდა, საქართველოს აქვს „MAP“-ის მიღების შანსები, მაგრამ საქართველოსგან ასევე ელიან გარკვეულ დიდ პროგრესს დემოკრატიის თვალსაზრისით და ეს შემთხვევით არ ჩაიწერა სწორედ საქართველოსთან მიმართებაში და არა უკრაინასთან მიმართებაში.** ეს ძალიან ყურადსაღებია. ნატოს წევრი ქვეყნები სულმოუთქმელად დაელოდებიან საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რაც მთავარია, ამასაც ყურადღება უნდა მიექცეს (საუბარია 2008 წლის დეკემბრამდე პირველი პროგრესის შეფასების მოსმენისასძ. თუ ამ 8 თვის განმავლობაში რეალური პროგრესი მოხდება ბევრი მიმართულებით, რა თქმა უნდა, 2008 წლის დეკემბრისთვის საგარეო საქმეთა მინისტრები მოამზადებენ რეალურად პოზიტიურ დასკვნას, რაც წინაპირობა გახდება „MAP“-ის მისაღებად, მაგრამ აქვე ერთი რამ უნდა ითქვას, რადგან ეს ისევ დაუკავშირდება მოლოდინს და ზედმეტ ოპტიმიზმს: **„MAP“-ი არ არის გაწევრება, საქართველოს მიერ „MAP“-ის მიღება ქვეყანაში დემოკრატიულ შიდარეფორმებზე იქნება დამოკიდებული.**

**კობა ლიკლიკაძე,**
**რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი, სამხედრო ექსპერტი**

აზრი

## სიტუაციის ზედმეტად დრამატიზება საჭირო არ არის



**ექსპერტ ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ბუქარესტის ნატოს სამიტზე საქართველომ MAP-ი ვერ მიიღო, სიტუაციის ზედმეტად დრამატიზება საჭირო არ არის და საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით პესიმისტური პროგნოზის საფუძველი არა გვაქვს.**

საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ უკრაინასა და საქართველოს მიერ MAP-ის მიუღებლობა რუსეთის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირდება, მაგრამ კატეგორიულად არ ეთანხმება მტკიცებას, თითქოს „ბუქარესტის სამიტზე რუსეთმა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება შეძლო.“

მისივე განმარტებით, ბუქარესტის სამიტმა პირდაპირ განაცხადა, რომ უკრაინისა და საქართველოსათვის MAP-ის მინიჭება ალიანსის დღის წესრიგში რჩება და რომ ამ საკითხის განხილვას ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი დეკემბერში დაუბრუნდება.

„სიტუაციის ზედმეტად დრამატიზება საჭირო არ არის, ვინაიდან პესიმისტური პროგნოზებისათვის საფუძველი არა გვაქვს“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ბუქარესტის ნატოს სამიტის შედეგების კომენტირებისას.

მენაღარიშვილის განმარტებით ის, რომ ნატოს ქვეყნებს შორის მთელ რიგ საკითხებში აბსოლუტური ერთსულოვნება არ არის, ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან ისეთი დემოკრატიული ალიანსის გაერთიანებაში, როგორიცაა ნატო, ეს ბუნებრივი მოვლენაა, რადგანაც „ყველა საკითხზე აბსოლუტური ერთსულოვნება მხოლოდ ტოტალიტარულ ქვეყნებშია“.

იგი „დესტრუქციულ და ნეგატიურ“ შეფასებად აფასებს ამავე სამიტზე საქართველოს მიერ MAP-ის მიუღებლობის კონფლიქტების მოუგვარებლობის დასახელებას. „ეს კონფლიქტების მოუგვარებლობით დაინტერესებულ რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნების საშუალებას აძლევს“, — აღნიშნავს მენაღარიშვილი. მისივე აზრით ის, რომ ალიანსის წევრი ქვეყნები ნატოს წევრობის კანდიდატი ქვეყნისაგან დემოკრატიის სტანდარტების მაღალ დონეს ითხოვენ, ამაში ქართულმა მხარემ „ცუდი რამ არ უნდა დაინახოს“.

**ინტერპრესნიუსი**

„ნუგეში“

## პუტინმა ბაღაფში და კოკოითი გაამხნევა



**„შეუძლებელია, რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თბილისის მიერ სიტუაციების დესტაბილიზების ხელშემწყობი ხაზი შეუმჩნეველი რჩებოდეს“, — ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტი ლიდერებისთვის გაგზავნილ საპასუხო წერილში.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „პუტინს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა სერგეი ბაღაფშმა და ედუარდ კოკოითმა, მიმართვა გამოუგზავნეს, რომლშიც გამოთქმული იყო სერიოზული შეშფოთება თბილისის მიერ კონფლიქტის ზონებში გატარებული აგრესიული პოლიტიკის გამო“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე იუწყება, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ორივე თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერს საპასუხო წერილი გაუგზავნა.

„ხაზგასმულია, რომ შეუძლებელია რუსეთში არ ამჩნევდნენ და არ ითვალისწინებდნენ თბილისის მიერ ამ კონფლიქტურ რეგიონებში გატარებულ მდგომარეობის დესტაბილიზაციისკენ მიმართულ ხაზს — მათ შორის მუქარას ძალის გამოყენების შესახებ“, — ნათქვამია დოკუმენტში და აღნიშნულია, რომ პუტინი იზიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერების შეშფოთებას, საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრების შესახებ.



„რუსეთი საქართველოს მიერ ჩრდილოატლანტიურ ალიანსში გაწევრებისკენ სწრაფვის გამო ყოველთვის საქმის კურსში აყენებდა საქართველოს ხელისუფლებასა და ალიანსის წევრებს თავისი შეხედულების შესახებ და ყოველთვის აცნობებდა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე განხორციელებული ნებისმიერი პოლიტიკური, ეკონომიკური და მით უფრო სამხედრო ზეწოლის მცდელობა უპერსპექტივო და კონტრპროდუქტიული იქნება“, — ნათქვამია პუტინის მიერ გაგზავნილ წერილში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

● პოლიტიკა, როგორც შესაძლებლის მიღწევის ხელოვნება, რაღაცის დათმობით რაღაცის დათმობინებას გულისხმობს. ხოლო შენზე ძლიერს რომ რაღაც დაათმობინო, სუსტი დრო და მომენტი უნდა უხელთო მას



## ◉ პოლიტიკოსობის ანბანი

# ემებე მეგობრები შენი მტრების ბანაკში...

**ეს მარტივი წესები პოლიტიკოსობის ანბანია და ვისაც ეს ანბანი ვერ დაუსწავლია, რუსთველურად რომ ვთქვათ, აკლია პოლიტიკოსთ ზნეობა. ხელისუფლებას რომ ეს „ზნეობა“ არ აკლია, იქიდან ჩანს, რომ მან მოახერხა გაეთიშა გაერთიანებული ოპოზიცია, რაც ვერ მოახერხა ოპოზიციამ ხელისუფლების მიმართ.**

ხელისუფლებამ გათიშა არა მარტო ოპოზიცია, არამედ ოპოზიცია და ხალხიც და, კონსტიტუციის უცერემონიო ცვლილებითა და თარხნიშვილის დაჟინებული უცვლელობით, მასხარად აიგდო ერთიც და მეორეც, რომელთაგან პირველი „მოშიმშილე პოლიტიკოსად“ აქცია, ხოლო მეორე — უსარდლოდ დარჩენილ დაშლილ არმიად. ხელისუფლება კი, როგორც არასდროს გაერთიანებული, გამარჯვებას ზეიმობს, ოტელოს უსულო სხეულზე ფეხით შემდგარ იაგოს პოზაში.

ოპოზიციამ კი რა მოახერხა? ის, რომ, თავისი გაუაზრებელი მოქმედებით, გათიშვის ნაცვლად, პირიქით, უფრო გააერთიანა ხელისუფლება. არადა, იგი თითქმის უკვე გათიშული იყო, ოპოზიციასა და ხალხსაც „ყოვლისუარმყოფელი“ (ილიას გამოთქმააძ რადიკალიზმი და ანტაგონიზმი რომ არ დაეპირისპირებინა მისთვის. 7 ნოემბრის დანაშაულში და 5 იანვრის არჩევნების გაყალბებაში კუდზე ფეხდადგმული ხელისუფლება უკვე თავის შიგნით ეძებდა მსხვერპლს, სისხლის გამოსაშვებად და განსაწმენდად. სააკაშვილი მზად იყო, თავისი ამ დღეში ჩამგდები გარემოცვის ყველაზე ხელშეუხებელი და ხალხისთვის ყველაზე საძულველი წევრების მოსასროლად: ლომაიასი — ინგლისში, ბოკერიასი — ბრიუსელში... არველაძის, ნოღაიდელის, კირკიტაძის, ბეჟაშვილისა და მათი მსგავსი განტევების ვაცებისთვის წინასწარვე განწირულთა მოსროლაზე აღარას ვამბობ.

ქ-ნი ჯანეტა ქორიძე, „საქართველოს რესპუბლიკის“ 2 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ თავის შესანიშნავ წერილში, სარტრის ძალაუფლებადაკარგულ ჯალათს ადარებს იმ პერიოდის მიხეილ სააკაშვილს: **„ვისაც ჟან-პოლ სარტრის „სატანა და უფალი ღმერთი“ წაუკითხავს, მას გაოცება და შეძრწუნება არ ტოვებს იმ პერფორმანსით, რომელიც გიოცს დამპყრობელი, სასტიკი ჯალათიდან დაჩიავებულ, საცოდავ ადამიანად გარდაქმნის და ძალაუფლებით ისევ გალაღებული, ისევ სიძულვილის ნაღვერდლად იქცევა“.**

აი, როდის იყო საჭირო ხელის გაწვდა და მოლაპარაკების შეთავაზება უშუალოდ სააკაშვილისათვის, არა თარხნიშვილისა თუ კინწურაშვილის მოცილების მოთხოვნით, არამედ მისი უკეთური გარემოცვის მოცილების მოთხოვნით, უკეთური როგორც ხალხის, ისე თვით სააკაშვილისათვის, რადგან სწორედ მან ჩააყენა ორივენი ამ მდგომარეობაში და გააჩინა უფსკრული მასა და ხალხს შორის, რასაც მომავალში კიდევ უფრო გააღრმავებს. ამისათვის სჭირდებოდა სააკაშვილს მყარი გარანტია ოპოზიციისა და ხალხის მხრივ და არა რადიკალიზმი და ანტაგონიზმი, რაც აიძულებდა მას, კვლავ თავის დამღუპველ გარემოცვას შერიგებოდა. და შეურიგდა კიდეც: ლომაიაც ადგილზე დარჩა და ბოკერიაც. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით ჩირგვებში იმალება, მაგრამ ოპოზიციასთან დიალოგის დროს კვლავ გამოჩნდება ხოლმე ბურჯანაძის გვერდით, დიალოგის ჩასაშლელად. მას და მისთანებს ხელს არ აძლევთ უშუალო დიალოგი ოპოზიციასა და სააკაშვილ-ბურჯანაძეს შორის და შუაში ხტებიან, რათა „კონსენსუსი“ ვერ შედგეს.

ლევან გაჩეჩილაძემ, იმის ნაცვლად, რომ სათანადო წინაპირობით, დიდსულოვნად გაეწოდებინა ხელი და „გამარჯვება“ მიელოცა აღიარების კანკალით მომლოდინე სააკაშვილისათვის, მისი ინაუგურაციის დღეს, 200-ათასიანი უაზრო მიტინგი „ააგორა“ იპოდრომზე(?ძ და... რამდენიმე წუთში მშვიდობიანად დაშალა იგი!

არადა, რამხელა ბოროტებას აარიდებდა ქვეყანასაც და პრეზიდენტსაც, აღიარების სანაცვლოდ, მისი „უწმინდური“ (ირაკლი ოქრუაშვილის გამოთქმააძ გარემოცვის დაფერთხვა! სიტყვამ მოიტანა და არც ბატონი ირაკლის „ყოვლისუარმყოფელობა“ იყო პოლიტიკურად გამართლებული: შეტევის უშუალოდ პრეზიდენტზე მიტანამ, პირიქით, მიაჯაჭვა იგი გარემოცვას, მის მძევლად აქცია, გარემოცვის პოზიციები კი გააძლიერა.

იგივე უნდა ითქვას „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერ დავით გამყრელიძეზე, ნინო ბურჯანაძის „გადადგომის“ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რამაც ბოლო მოუღო მოლაპარაკების პროცესს და, ნებსით თუ უნებლიეთ, მოლაპარაკების ხელის შემშლელ გიგა ბოკერიასა და მისი „გუნდის“ წისქვილზე მიუშვა წყალი, კონსტიტუციის სახელდახელო შესწორებითა და თარხნიშვილის კურიოზული დატოვებით რომ დამთავრდა. ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკელთა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა სასწრაფოდ უკუაგდო ბურჯანაძის გადადგომის უდროო მოთხოვნა, მაგრამ რაღა დროს! აღარაფერს ვამბობ „ლეიბორისტების“ — „შრომის პარტიის“ (ერთი დღე მაინც თუ უმუშავიათძ ლიდერთა „ყოვლისუარმყოფელობაზე“, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთნაირი ლანძღვით, პირდაპირ ბოკერია-ლომაიების წისქვილზე რომ უშვებენ წყალს.

ოპოზიციის შეცდომებს სწორ ანალიზს უკეთებს პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი: **„რა თქმა უნდა, დღეს უნდა გვქონოდა ვითარება, როცა არ გვეყოლებოდა თარხნიშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ვთვლი, რომ რესპუბლიკელებს, უბრალოდ, ბევრ რამეში არ დაგვიჯერეს. ჩვენ სწორედ მაშინ უნდა გვეწარმოებინა მოლაპარაკებები და მიგვეღო ხელისუფლებისგან დათმობები, როდესაც ოპოზიციას გაგონება არ უნდოდა მოლაპარაკებისა. მერე მოლაპარაკებები დაიწყეს მაშინ, როდესაც ხელისუფლებას აღარ ჰქონდა ამის უნარი. ჩვენ დრო გავუშვით ხელიდან. ეს არ არის კონკრეტულად ჩვენი ჯგუფის ბრალი. მაგრამ მთლიანობაში ერთობლივი შეცდომაა. ჩვენ შეგვეძლო ყველაფერი მიგვეღო იანვარში, რასაც ვითხოვდით. უბრალოდ ამას სჭირდებოდა ემოციებისგან გათავისუფლება და გონივრული მოქმედება“** („ახალი თაობა“ 28.03.2008ძ.

მაგრამ აქ ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი: ოპოზიციას ვიღაც-ვიღაცები, ხალხის სახელით, ბრალს სდებდნენ ხელისუფლებასთან გარიგებისა და თანამდებობებისადმი მისწრაფების მცდელობაში, რითაც, ერთის მხრივ, ხელ-ფეხს უკრავდნენ ოპოზიციას, მისჯდომოდა მოლაპარაკების მაგიდას, ხოლო მეორეს მხრივ, განხეთქილების თესლს აგდებდნენ მასა და ხალხს შორის. ეს ის არსებები იყვნენ, ვისაც ხელს არ აძლევდათ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგი და ჩირგვებში შემძვრალნი ხელს უშლიდნენ პარლამენტის თავმჯდომარეს მოლაპარაკების პროცესში. ოპოზიციაც, ორ ცეცხლშუა მყოფი, იძულებული იყო ერთგვარი ანგარიში გაეწია პროვოცირებული ხალხისათვის და ფეხი ეთრია მოლაპარაკებებზე. ამიტომ პოლიტიკური სიმწიფე მოეთხოვება არამარტო პოლიტიკოსებს, არამედ ხალხსაც, რომ არ აჰყვეს პროვოკატორებს და მოქმედების საშუალება მისცეს თავის ნდობით აღჭურვილ პირებს.

ვიღაც-ვიღაცები ლევან გაჩეჩილაძეს ემდურიან, რომ მან 200–ათასიანი მომიტინგე იპოდრომიდან სახლში გაუშვა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბ-ნ ლევანს იმაში, რომ შეცდომა იყო არა მომიტინგეების სახლში გაშვება, არამედ საერთოდ მათი სამიტინგოდ შეყრა და საჭირო მომენტში მოლაპარაკების შანსის ხელიდან გაშვება. დაგვიანებული მოლაპარაკებები მოლაპარაკების ფარსს წარმოადგენდნენ და მეტს არაფერს.

პოლიტიკა, როგორც შესაძლებლის მიღწევის ხელოვნება, რაღაცის დათმობით რაღაცის დათმობინებას გულისხმობს. ხოლო შენზე ძლიერს რომ რაღაც დაათმობინო, სუსტი დრო და მომენტი უნდა უხელთო მას.

რევოლუცია და სისხლისღვრა რომ არ გვინდა, კარგია. მაგრამ მაშინ ევოლუცია და დემოკრატია უნდა გვინდოდეს. ეს კი ხელისუფლების ნაწილობრივ და არა ტოტალურ, ცვლილებას ნიშნავს. ვისაც ტოტალური ცვლილება სურს, ის ტოტალიტარიზმს ესწრაფვის. ამას კი, მის სიკეთეს რომ თავი დავანებოთ, ლენინები და სტალინები სჭირდებიან. ყველაზე უარესი კი ის არის, როცა არ იცი, რა გინდა.

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე**

## ◉ მკვახე შეძახილი

# ეგებ გვესწავლა საგნებისა თუ მოვლენებისათვის ნამდვილი სახელების დარქმევა

**თქვენ გიფიქრიათ, ალბათ, თუ რამდენი პირობითობა, ფარისევლობა და თვალთმაქცობაა ყოველდღიურობაში, კერძოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; რა ხშირად არის, რომ ადეკვატურად (ახლა ეს სიტყვა ძალიან მოდაშია) ვერ „ვრეაგირებთ“ მომხდარზე, თვალს ვუხუჭავთ და ვუყრუებთ, ან სულაც თავს ვიტყუებთ.**

არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ჩვენი უახლესი ისტორიიდან, მაგრამ მხოლოდ ორიოდეზე შევჩერდები, სულ ცინცხალზე.

ამერიკამ (შეერთებულმა შტატებმაძ და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ, დიდის რიხით რომ მეგობარ სახელმწიფოებად მოიხსენიებენ ხოლმე ჩვენი ხელისუფალნი, კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნეს. მანამდეც ბევრი ვიძახეთ და ახლაც გავყვირით — კოსოვოს მაგალითი განსაკუთრებულია და სოხუმსა და ცხინვალს პრეცედენტად არ გამოადგებათო. არადა, მშვენივრად რომ იყენებენ აფხაზი თუ ოსი სეპარატისტები და ზედაც იმათი მოსკოველი მფარველ-ქომაგები?

მე რომ აქ მარწმუნებდნენ, კოსოვო სხვა მაგალითიაო — ისინი რატომ ვერ დაუჯერებიათ? პარლამენტის ერთი მსხვილი „საგარეო“ ფიგურა ტელეეკრანიდან ხშირ-ხშირ ინტერვიუში რომ მე, შინაურს, სარკასტული სახითა და ქართულად მიმტკიცებს ამდენს რამეს — მოსკოვს, სოხუმს, ცხინვალს აუხსნას რუსულად, „გამოუყენებადია“ თუ არა იმათთვის კოსოვოს მაგალითი!

ჰოდა, კოსოვო ამერიკამ, რასაკვირველია, ეგოისტური ზრახვებით, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რომ აღიარა, ამით გზად, გავლით, სხვათა შორის, საქართველოს ზურგში ჩასცა მახვილი, უზარმაზარი კოზირი უბოძა მოსკოვსა და ნაირ-ნაირი ჯურის სეპარატისტებს, თითქოს უამისოდ უჭირდათ. ავდგეთ ახლა და ველოდოთ მახვილის ამოძრობს! წავიდეთ ახლა და ვუყაროთ კაკალი!

დიახ, ზურგში დანა ჩაგვცეს და ეს ხმამაღლა ვერ თქმულა (ჩემი რიგითი ხმა რის მაქნისიაძ.

მეორე მაგალითს შინაური რეალობიდან მოვიხმობ. ჩავლილი ამბავია და მადლი ღმერთსა, რომ ყველაფერი ასე თუ ისე მშვიდობიანად დასრულდა, თუ მშვიდობიანს ვუწოდებთ იმ დღეებში ლამის მთელი დარჩენილი საქართველოს აფორიაქებას, ლამის საომარი მოქმედების ავარდნას აფხაზ სეპარატისტებთან.

იმ, ჩემი ფიქრით, წინდაუხედავ ნაბიჯზე მოგახსენებთ, რომელიც ერთმა ზუგდიდელმა ჟურნალისტმა ასე ქარაფშუტულად გადადგა ენგურსგაღმა, სხვათაგან გაკონტროლებულ ტერიტორიაზე. ტვინი იმიტომ გვაქვს, რომ ზოგჯერ მაინც ავწონ-დავწონოთ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენს საქციელსა და მოქმედებას. „რომ მიდიხარ, სად მიდიხარო“? — ხომ გახსოვთ შეკითხვა აკაკის „გამზრდელიდან“. კი ბატონო, ფორმალურად ჩვენი მიწაა, დე იქაურე იქაც საქართველოა, მაგრამ რეალობა რომ სხვაა და რეალობა რომ მწარეა? ჭიქა ჩაიში შაქარი თუ არ ჩაყარე, რამდენიც არ უნდა უქახო დატკბიო, დატკბება?

იმ მწარე რეალობას ანგარიშის გაწევა უნდა! ისედაც სულ პროვოკაციებს გვწამებენ ავისმოსურნენი და დამატებითი საბაბი სჭირდებოდათ? კი მაგრამ, იმ მზეელ ჟურნალისტს რა ისეთი მასალა უნდა მოეპოვებინა გალის რაიონში, გინდა იქაურ ქართველ მცხოვრებლებზე, გინდა რუსეთში მაშინ მიმდინარე არჩევნებისადმი იმათ დამოკიდებულებაზე, რომ ღირებული ყო იმად, რაც ჟურნალისტის დაკავებას მოჰყვა? ღირდა კი ჩიტი ბდღვნად? ეს არ უნდა ეფიქრათ ან ჟურნალისტს, ან მის იმ ტელეხელმძღვანელებს, ვინც დავალება მისცა? რა მივიღეთ? დაკავებულის ოჯახის ხანგრძლივი ნერვიულობა და წუხილი, ათასგვარი პიარ-კამპანია, შიმშილობა, პლაკატები, პიკეტები?... ქვეყნის მეთაურის სრულიად დაუფიქრებელი განცხადება-მუქარა ქართულის მცოდნე ბალაფშის მისამართით? იმიტომაც აცახცახდა თვითმარქვია აფხაზი პრეზიდენტი და მაშინვე გამოუშვა დაპატიმრებული, აი!...

ბიჭოს, ძალით როცა აპირებენ იმსიშორიდან დატყვევებულის განთავისუფლებას, ამას მთელ სამყაროს აგებინებენ? ეგებ მართლა შეგვწევს ძალი ქადილისა და მაგას რა სჯობს, ჩემი ენის ჩაკმენდას რა უნდა, მაგრამ ასეა კი? ვიყავით სოხუმში სპეცრაზმის გადამტყორცნელები და იმ ტყვის გამომხსნელ-გამომტაცებლები? კი, ოტო სკორცენიმ ფიურერის დავალებით თავის დროზე მუსოლინი გამოიხსნა შორიდან, ებრაელებმა კიდევ უფრო შორიდან თანატომელთა ფაშისტი ჯალათი ეიხმანი გამოიტაცეს დასასჯელად, მაგრამ ჩვენ თუ გვქონდა მსგავსი ოპერაციის განხორციელების თავი?...

სხვათა შორის, ერთი კაი საქმე კი გამოუვიდა „მზის“ ჟურნალისტს — ქვეყნის მეთაურს ძვირფასი ინფორმაცია მოუგროვა და ჩამოუტანა სოხუმიდან: აფხაზებს თქვენი ეშინიათო, რითაც კიდევ უფრო გაუბადრა სახე და მორიგ ეიფორიაში შეაგდო. საბრალო აფხაზები! ზურგს უკან იმოდენა რუსეთი და მთელი ჩრდილო კავკასია ეგულებათ და თურმე სააკაშვილის გაგონებაზე მაინც კანკალებენ...

დიახ, ხშირად გვიჭირს სწორი სახელის მიკუთვნება სხვადასხვა საგნისა თუ მოვლენისათვის და ეგებ ერთხელაც, შესაფერის სიტუაციაში, ის მამაცი ბიჭუნა „ჩამოგვეყვანა“ ძმები გრიმების ზღაპრიდან, დაუფარავად რომ შესძახა — მეფე ხომ შიშველიაო!... ღმერთმანი, რუსლანასავით ნახევარი მილიონი დოლარი არ დაგვიჯდებოდა... თუმცა ეგებ ჩვენშიც გამოჩნდეს ამის შემძახებელი პატარა ქართველი ბიჭი...

**ლუკა გორგაძე**

# ჩვენ

● დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული ზოგადად მძიმე თუ კრიზისული ვითარება, ჟურნალისტების ბრალიც არის. ჩვენში დამკვიდრებულია, ჩემი აზრით, ე. წ. ჟურნალისტური კოლეგიალობის არასწორი გაგება — ჟურნალისტმა ჟურნალისტი არ უნდა გააკრიტიკოს! ნეტავი რატომ? ვინ დაადგინა ეს ცრუკოლეგიალობა ნორმად?



## ◉ როცა „ძაღლი ძაღლის ტყავსა ხევს“

*ეს წერილი ამ ბოლო ხანს მასმედიასთან დაკავშირებულმა თუ მის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა დამაწერინა. ყველაფერი ამის კატალიზატორი ე. წ. „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ — „რუსთავი-2“, უფრო სწორად, ამ ტელეკომპანიის ჟურნალისტთა მიმართ აქციების მონაწილეთა აგრესიული დამოკიდებულება გახდა. და ეს კიდევ რბილად არის ნათქვამი, რადგან აგრესია იმდენად მძაფრი იყო, რომ ჟურნალისტთა ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც გადაიზარდა, რაც არა მგონია, ნორმალური ადამიანისთვის მისაღებ-მოსაწონი იყოს, იმის მიუხედავად, რომ ამ ყველაფრის გამართლება არადა, ახსნა ნამდვილად შეიძლება — ის, რაც საკუთარი თვალით იხილა საზოგადოებამ, ერთბაშად, მყისიერად, ანუ დაუოკებელი ემოციის გამო არ მომხდარა. ყველაფერი, რომ იტყვიან, ნელ-ნელა მწიფდებოდა. ზუსტად იმ ტემპით, რა ტემპითაც ერთ დროს მართლაც ქართული მედიის ფლაგმანმა, ყველასათვის სასურველმა „რუსთავი-2“-მა სავსებით დაიმსახურა ეპითეტი — „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, და შემდეგ კი დაკარგა და „საკუთარ ხალხზე გამარჯვებული ხელისუფლების ტელევიზიის“ ეპითეტი მიიღო.*

„რუსთავი-2“-ის არასახარბიელო მეტამორფოზა ლამის ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებისთანავე დაიწყო. თითქოს ვილაცამ, სავარაუდოდ, ზოგადად „თავისუფლების ინსტიტუტმა“, კონკრეტულად გიგა ბოკერიამ და ლევან რამიშვილმა, ჯადოსნური ჯოხი აიქნიეს და „რევოლუციის გამარჯვებისთანავე“, ამ ტელეკომპანიის სამაუწყებლო ბადიდან უკვალოდ გაქრა პოლიტიკური თოქ-შოუები, ნელ-ნელა, მაგრამ ინტესიურად ზედაპირული, მოჩვენებითი ხასიათი მიიღო ხელისუფლების კრიტიკამ, ბოლოს ამ ეფემერულობასაც ტაბუ დაედო... და ეს მოხდა ერთ დროს მართლაც თავისუფალი სიტყვის მთქმელ, უმწიკვლო საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში, რომელიც ე. წ. „ვარდების რევოლუციამდე“ კარგა ხნით ადრე, ლამის მართლა სახალხო აჯანყების მიზეზი გახდა, როცა კახა თარგამაძის სპეცრაზმმა დააპირა ის, რაც 7 ნოემბერს „ტელეიმედს“ ვანო მერაბიშვილის „ლომებმა“ გაუკეთეს.

მაშინ რევოლუციური სიტუაციის განმუხტვას „რკინის კაცის“ კახა თარგამაძის სავარძელი შეეწირა და ცხონებული ზურაბ ჟვანიას გადადგომა გახდა საჭირო პარლამენტის თავმჯდომარეობიდან. ამათგან პირველის — კახა თარგამაძის და ახალდანიშნული გენპროკურორის გია მეფარიშვილის პოზიციებს მაშინდელი I არხის ტელეწამყვან-ვარსკვლავი ინგა გრიგოლია იცავდა, რომელიც დღეს „პრაიმტაიმში“ აგრძელებს „ბრწყინვალებას“. საზოგადოებას ემახსოვრება, რა მჟღერადად მოუხმო მან პირდაპირ ეთერში კახა თარგამაძეს და გია მეფარიშვილს იმით შეურაცხყოფილმა, რომ ელდარ შენგელაიამ „შევარდნაძის ჯიბის ტელევიზია“ უწოდა I არხს და, შესაბამისად, — „ჯიბის ჟურნალისტები“ ინგა გრიგოლიასა და ეკა ბერიძეს.

ეს მცირე ისტორიული ექსკურსი რისთვისაც დამჭირდა, ამაზე ქვემოთ მოგახსენებ, ჩემო მკითხველო. ახლა კი უნებურად გაწყვეტილი თხრობის თემას დავუბრუნდეთ.

# „კას თუ კაი არ უწოდე, კარგს სახელად რა დაარქო“...

მაშ ასე, „რუსთავი-2“-ის უცნაური მეტამორფოზის პირდაპირპროპორციულად მატულობდა ამ ტელეკომპანიის ჟურნალისტთა მიმართ ნეგატიური დამოუკიდებულებაც. ამ ყველაფერმა პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც ტელეწამყვანმა ეკა ხოფერიამ სანდრო გირგვლიანის გამო პირდაპირ ეთერში სკანდალური განცხადებით დატოვა ტელევიზია.

ცოტა ხანში ნიკა ტაბატაძე შეიწირეს, სავარაუდოდ, გიგა ბოკერიას და ლევან რამიშვილის უჩინარმა ხელებმა. ამის შემდეგ ქვეყანა თავზე დაგვენგრა თუ გვენგრეოდა, „რუსთავი-2“ კი ამაზრზენი ჯეობარების და ვანოს უნიჭო ღამის შოუების ტირაჟირებას ეწეოდა. შესაბამისად უნდობლობას იხვეჭდა „რუსთავი-2“-ის პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციები...

### ჟურნალისტური კოლეგიალობა ქართულად, ანუ გიგა ბოკერიას სიმართლე

**რას ვგულისხმობ ამაში? იმას, რომ ამას წინათ თვით გიგა ბოკერიასაც წამოსცდა ერთი სიმართლე. ბოკერიასაც კი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თუ ვინმე არის საქართველოში დემაგოგი, ჩემი ღრმა რწმენით, უპირველესი ბატონი გიგაა...**

ალარ მახსოვს, სად და როდის, მაგრამ ამას წინათ ნამდვილად თქვა გიგა ბოკერიამ — „რა, ჟურნალისტის კრიტიკა არ შეიძლება“?

ჩემი აზრით, დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული ზოგადად მძიმე თუ კრიზისული ვითარება, ჟურნალისტების ბრალიც არის. ჩვენში დამკვიდრებულია, ჩემი აზრით, ე. წ. ჟურნალისტური კოლეგიალობის არასწორი გაგება — ჟურნალისტმა ჟურნალისტი არ უნდა გააკრიტიკოს! ნეტავი რატომ? ვინ დაადგინა ეს ცრუკოლეგიალობა ნორმად?

არადა, ე. წ. დასავლეთში, რომლისკენაც ვითომ მივდივართ, ასეთი ქმედება, ანუ ჟურნალისტის მიერ კოლეგის კრიტიკა, ჩვეულებრივი ამბავია, აუცილებელიც კი. უცოდველი არავინაა ამ ქვეყნად, მაგრამ ხომ არსებობენ ზოგადად პატიოსანი და უნამუსო ადამიანები? ასევე არიან ჟურნალისტებიც.

არც ის მიმაჩნია სწორად, რომ მავანთა აზრით, ჟურნალისტის ნაშრომში ავტორის პოზიცია არ უნდა ჩანდეს. ყველანი ჯერ ადამიანები, პიროვნებები ვართ და შემდეგ ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლები. დიახაც, ყველა ჩემი წერილი გარკვეულწილად „ტენდენციურია“, რაც სულაც არ მიმაჩნია ნაკლად. ოღონდ ერთი პირობით — „ტენდენცია“ საკუთარი მრწამსიდან უნდა მოდიოდეს.

ის, რაც ამას წინათ რუსთაველზე, პარლამენტის წინ მოხდა — „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების შეურაცხყოფა — იქნებ იმის ბრალიც არის, რომ ცრუ კოლეგიალობას არიან მავანნი ამოფარებული. ან რა გასაკვირია აგრესია იმ ტელევიზიის მიმართ, რომელმაც 7 ნოემბრის შემდეგ პროკურატურის სცენარის გადაღებული ფილმი გაუშვა ეთერში? სხვათა შორის, იგივე ოპერატიულობით ამოქექეს „რუსთავი-2“-ის არქივიდან იმ გალახული თუ შეურაცხყოფილი ჟურნალისტების დასაცავად რევოლუციამდელი კადრები, რომლებზეც ასახული იყო, თუ როგორ უშლიდნენ ხელს მუშაობაში „რუსთავი-2“-ს ასლან აბაშიძის მომხრეები, ანუ უსუსური პარალელი გაავლეს — აქაოდა, ყველანი, ვისთვისაც დღეს „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები და თავად ეს ტელევიზია მიუღებელია, ასლან აბაშიძის მსგავსნი არიან.

ერთი რამ „დაავიწყდათ“ — მაშინ „რუსთავი-2“ ხალხის დაკვეთას ასრულებდა და არა „თავისუფლების ინსტიტუტისა“. ასე რომ, „რუსთავი-2“-ის, „მზის და მთავრობის ტელევიზიების შეურაცხყოფილო“ ჟურნალისტებო, ნუ გიკვირთ და გწყინთ ხალხის, მაყურებლის მიერ თქვენ მიმართ თანდათან გამოხატული აგრესია. თქვენი ტელევიზიების მფლობელებთან დაიცავით საკუთარი უფლებები და ღირსება. თან ის გინდათ, კონფორმისტული პოზიციით დიდი ხელფასებიც აიღოთ და თან ხალხის პატივისცემასაც იმსახურებდეთ? ეგრე სად არი...

### ჟურნალისტობა სახიფათო პროფესიაა!

**ამიტომ ლეტალური შემთხვევებით, ანუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სიკვდილით თქვენ ჯვარი გწერიათ და, ხშირად ამთავრებენ ნამდვილი ჟურნალისტები.** იმ „წკიპურტებზე“ წუწუნი კი, რაც პარლამენტის წინ მიიღეთ, უხერხულია. მით უმეტეს, მიუღებელია ინგა გრიგოლიას გამოქომაგება თქვენს მიმართ. რადგან ეს ის ინგა გრიგოლიაა, რომელიც 7 ნოემბრის შემდეგ, როცა მისი „მშობლიური“ ტელევიზია დაარბიეს, პრაქტიკულად 10 დღეც არ ყოფილა უმუშევარი, რომელმაც მრავალწლიანი ხელფასის ცდუნებას ვერ გაუძლო და არა ზეწოლას თუ ქვეწოლას. და ახლა „პრაიმტაიმში“ გმირულად უძლებს „გაუსაძლის პირობებს“. ეს ის ქალბატონია, რომელსაც ტელევიზია არ დაუტოვებია საქართველოში, ეს ის ინგა გრიგოლიაა, ცოტა ხნით რომ მაინც არ შეერბინა სამუშაოდ. როგორც კოლეგას ერთხელ დავურეკე, შენს „რე-აქციაში“ ჩემი რეაქცია მინდა დავაფიქსირო-მეთქი და იცით როგორი „კოლეგიური პასუხი გამცა? — „ეგრე არ ხდება, ჩვენთან რომ მოხვიდე, ცნობილი სახე უნდა იყო“. გამეცინა...

**დავით მხეიძე**

***რედაქციისგან:** სიტყვის თავისუფლებამ ზოგიერთი ჩვენი კოლეგა არცთუ იშვიათად საბრძოლველად განაწყო იმ რედაქციების მიმართ, სადაც თავიანთი მიკერძოებული თუ აკვიატებული ნააზრევის გამოსაქვეყნებლად უარს წააწყდებიან ხოლმე. ისინი ასეთ „უარის მთქმელ“ რედაქციებს ახალი ტიპის ცენზორობასა და „თავისუფალი სიტყვის ჩახშობაში“ ადანაშაულებენ. დავით მხეიძის ამ წერილს იმის იმედით ვაქვეყნებთ, რომ ჩვენი კოლეგები ჟურნალისტური მსჯელობის საგნად გახდიან ამ თემას — რედაქციებსა და ჟურნალისტებს შორის ურთიერთკრიტიკულ დამოკიდებულებას, როცა ჭეშმარიტებაზე მეტად მიკერძოება იგრძნობა, თუმცა გარკვეულწილად არც მწარე სიმართლეს არის მოკლებული.*

## ◉ ენერგეტიკის სექტორი

# ენერგოდერეფნის პოტენციალის გაზრდის პერსპექტივით

**ნავთობის, გაზის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის საერთაშორისო კონფერენცია ამ სფეროში ახალი ენერგეტიკული პროექტების რეალიზებისა და ახალი ენერგეტიკული ბაზრების ათვისების, ინვესტირების, ენერგომატარებელთა ტრანსპორტირებისა და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებთან და არსებულ პერსპექტივებთან განსახილველად ჩინებულ პლატფორმას წარმოადგენს, — განაცხადა გასულ ხუთშაბათს ამ ენერგეტიკული ფორუმის გახსნაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.**

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მხარდაჭერით გამართული ორდღიანი ყოველწლიური კონფერენციის მუშაობაში, რომლის გენერალური სპონსორი იყო აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის კომპანია SOCAR-ი, ხოლო სპონსორები საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGCძ, აგრეთვე KazTranoil-ი, Statiol Hydro Energo-Pro, Gas Logistics LLC, GrossCaspian Oil-ი და DLA Piper, მონაწილეობა მიიღო 220-მა დელეგატმა აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან, ასევე მთელი რიგი სხვა ქვეყნებიდან.



კონფერენციის გარდა, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის ჰოლში გამართულ გამოფენაზე თავისი საქმიანობა წარმოაჩინეს სოლიდურმა კომპანიებმა SOCAR-მა, GOGC-მა, BLASK SEA TERMINAL-მა, ALKT TECHNIC CMBH/ORBITALUN TOOLS CMBH-მ, სხვებმა.

ფორუმის მონაწილეთა მოხსენებების თემები, ასევე მსჯელობის საგანი, პირველ ყოვლისა, იყო ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის განვითარების, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის, ენერგომატარებლებზე ფასწარმოქმნის, ახალი ნავთობ-და გაზსადენების პროექტირებისა და მშენებლობის, ასევე ძველების რეაბილიტირების პერსპექტივები, ახალ საბადოთა ძებნა-ძიებისა და მარაგების გაზრდის, გამოყენებული ნახშირწყალბადების უტილიზების, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ნავთობისა და გაზის ნაკადების ტრანსპორტირებისა და სხვა საკითხები. აღსანიშნავია, რომ ქართველმა დელეგატებმა კონფერენციის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სამხრეთ კავკასიაში საქართველოს ენერგომატარებელთა სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელოვან როლს.

საგულისხმოა ისიც, რომ წლეულს, 22-23 მაისს, უკრაინის დედაქალაქ კიევში ასევე დიდად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ენერგეტიკული კონფერენცია და ამ სფეროსთან დაკავშირებული უმაღლესი დონის სამიტი გაიმართება. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად უკრაინის წარმომადგენლმა ბოგდან სოკოლოვსკიმ განაცხადა და დამსწრე მრეწველები, ინვესტორები, ეკონომისტები, სპეციალისტები მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.

— ნავთობის, გაზის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის საკითხებისადმი მიძღვნილი წლევანდელი, რიგით მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია განსაკუთრებით იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასზე ენერგეტიკის სფეროში აქტუალური პრობლემების კონსტრუქციული განხილვის გარდა, კომპანიების წარმომადგენლებსა და ინვესტორებს შორის ინფორმაციის ინტენსიური გაცვლის შესაძლებლობა შეიქმნა, — განაცხადა „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა. — გარდა ამისა, ეს ჩინებული ტრიბუნაა სამთავრობო ინიციატივების გასაჟღერებლად, რომელთა მიზანია საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პოტენციურ ინვესტორებს საშუალება მიეცათ უკეთ გაეცნონ არსებულ შესაძლებლობებს, რამაც დიდად უნდა შეუწყოს ხელი მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებას, — დასძინა მინისტრმა.

**ოთარ ტურაბელიძე**

№ 64. შაბათი, 5 აპრილი, 2008 წელი.

# დღის მაჯა

• „ახალი ქსელები“ ბოროტად იყენებს და მანიპულირებს საკუთარი აბონენტების ინტერესებით და მათ მომსახურებას უწყვეტს, რითაც სურს გადაფაროს ის ფინანსური პრობლემები, რაც „გაერთიანებულ ტელეკომთან“ დაუგროვდა



**ყოფა**

*ქისა სავსე მაქვს თუ „ქესატად“ ვარ, ბაზარში ხშირად დავდივარ. ამჟამინდელი „ბაზრის“ შემყურეს ადრინდელი ბაზარი მახსენდება. დავდიოდი იმ ბაზარში, ვათვალიერებდი ბარაქით სავსე დახლებს და მოვაჭრე გლეხების კეთილ სახეთა ცქერით ვერთობოდი. ეს მაჯაძლიერი, მშრომელი ადამიანები მოკრძალებით მთავაზობდნენ ნუგბარს. თუ შევაჭრებოდით, არც ამაში გაგაწბილებენ. გულალალად გაგასინჯებდნენ კიდეც ატამს, მსხალს, ვაშლს და ა. შ. საზამთროს და ნესვსაც გაგიჭრიდნენ, ყველსაც „მოგიციცქნიდნენ“, თავსაც იწონებოდნენ თავიანთი მწიფე, „პირველი ხარისხის“ საქონლით!*

## ბაზარი განა მართლა და მხოლოდ "ბაზარია"!

### გამოცდილება, რომლის გათვალისწინება არ გვაწყენდა

სოფელს მაგონებდა ბაზარი, ბარაქიან სოფელს. და, როცა ამ დოვლათს ვხედავდი, იმედი მითბობდა გულს, – სოფელი ქვეყანააო, იტყოდნენ ჩვენი ძველები. და, როცა სოფელი ბარაქიანია, ქვეყანაც ბარაქიანია და, აბა, რა სჯობს ამას?

სოფელი ყველგან სოფელია, ბაზარი ყველგან ბაზარიაო, იტყვით თქვენ, მაგრამ...

...მაგრამ ის, რომ, სამწუხაროდ, ბაზარი მართლა „ბაზარი“ გამხდარა დღეს და ამ „ბაზარში“ ათასი ეშმა დააბიჯებს! სანთლით რომ დავიწყოთ ძებნა, გულალალ გლეხს იშვიათად თუ ნახავ აქ და თუ ნახე, ის აუცილებლად, სადღაც, ბაზრის მიკუჭულ სამანებში დგას შეკრთალი და შეშინებული. ბაზარში კი ძოთქოთებენ „ბაზრის“ გაქექილი „ძორვაჭრები“ (ასე უწოდებდნენ „სოციალიზმის“ დროს გადამყიდველებს)! ძოთქოთებენ და „კაპიკს“ არ შეგარჩენენ, „კაპიკს“ არ დაგიკლებენ და თუ „ჭკვიანად“ არ მოიქცევი, შეიძლება გამოგლანძღონ კიდეცაც.

რას იზამ? ასეა ჩვენს დღევანდელ ქართულ ბაზარში და ვერსად წაუხვალ სინამდვილეს!

განა არ ჩამოდიან გლეხები ქალაქში? ჩამოდიან, დიახაც, რომ ჩამოდიან და ჩამოაქვთ კიდეც თავიანთი შრომის ნაყოფი, თავიანთი მიწის ნაჟური და ნახარები, მაგრამ, როგორც კი ფეხს დადგამენ ქალაქის მიწაზე... (არა, მართლაც, კარგი სიტყვა მოიგონეს „სოციალისტებმა“ – „ძორი“ და „ვაჭარი“!) ძორივით დააცხრებიან „გაქნილი ბიჭები“ და „გოგოები“ და აი, მაშინაა ბაზარი მართლა „ბაზრად“ რომ იქცევა, აი, მაშინაა, ამ „ბაზარს“ ცეცხლი რომ წაეკიდება და... იწვის ქვეყანა!

თუმცა, რომელ ქვეყანაზეა საუბარი? იმათ რა უჭირთ, რომლებსაც ქისა, არათუ სავსე, გადავსებულიც კი აქვთ „მარგალიტებით“ და ფულს კილოგრამობითაც კი გადაიხდიან ერთმანეთის ჯინაზე, სხვების თვალის დასავსებად... ეს „სხვებმა“ უნდა ვუღრიჭოთ კბილები „დახლიდრებს“, იქნებ ორიოდე თეთრი დავაკლებინოთ...

არადა, მინახავს ბაზარი, სადაც გამყიდველს არც ევაჭრებიან, უბრალოდ, „სასაცილო ფასებს“ იხდიან და ბედნიერად მიაქვთ ნაყიდი.

ეს, რავააო, ასე? – იკითხავთ თქვენ.

ისე, უბრალოდ, ასეა და იმიტომ! ბევრი მინახავს ასეთი ბაზარი აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, აფრიკაშიც და ამერიკაშიც, დუშანბეშიც და რიოშიც...

...ოცდახუთსართულიანი სასტუმროს სახურავზე მოწყობილი სკვერიდან გადავყურებდი „კოპაკაბანას“. ატლანტის ოკეანე აგელვებდა ტალღებს, კორკოვადის“ მთაზე მაცხოვარი იდგა მკლავებგაშლილი. გარეშემო რიო-დე-ჟანეირო დავანებულიყო და ამ დილაუთენია (5 საათი გახლდათ, დილის!) ახლად შემობრძანებული დღის ჰიმნს „უკრავდა“. ის იყო, ნომერში ვაპირებდი შებრუნებას, რომ ქალაქისგან განსხვავებული ჩქამი მომწვდა სმენამდე. შემოვბრუნდი და, ახლა სასტუმროს უკანა ქუჩიდან მომეყურა და ეს „უცხო“ ხმა. გადავიხედე. ათასგვარი ფარდულებით აჭრელებულიყო იქაურობა.

...ბაზარი გაემართათ რიოელებს, ნამდვილი, ტრადიციული ბაზარი!

ვაჭრობდნენ ზანგები და მულატები, მეტისები და თეთრები, მაღლები და დაბლები, ქალები და კაცები, ხანში შესულები და ბავშვები, და ყველას ღიმილი ეკერა სახეზე, ალალი, სუფთა ღიმილი. ყველა თავს იწონებდა თავისი საქონლით, მაგრამ მთავარი რამაც გამაოცა, ფასები იყო... მართლაც სასაცილო ფასები! და ამ „სასაცილო ფასებში“ იყიდებოდა მარწყვი და ხენდრო, კიტრი და პამიდორი, პაპაია და კარტოფილი, მწვანილი და ბადრიჩული, სათუთად შეფუთული კამეჩის ყველი და არაჟანი, კვერცხი და ოდნავ შეყინული ხორცი.

...დღის 12 საათზე ქუჩა უკვე თავისუფალი იყო, გაწკრიალებული, თითქოს არც ყოფილაო ბაზრობა!

მეორე დღეს ქალაქის მუნიციპალიტეტში ვისხედით მე და ჩემი მეგობარი ჟილბერტო და უაღრესად სასიამოვნო ამბებს გვიყვებოდა ქალაქის ვაჭრობის საქმეთა „გამგებელი“.

– ყოველ კვირა დღეს იმართება რიოში ასეთი ბაზრობები!.. ოღონდ, ერთ კვირას ერთ, ამორჩეულ ქუჩაზე, მეორე კვირას – მეორეზე... თქვენ გაგიმართლათ გუშინ... „კოპაკაბანას“ ერგო ეს პატივი ამჯერად...

– ფასებიც საოცრად დაბალი იყო, გამიკვირდა!..

– რა თქმა უნდა, ფასები დაბალია... ქალაქი ფერმერებს უფასოდ უგზავნის ტრანსპორტს, რომლითაც უპრობლემოდ ჩამოაქვთ თავიანთი პროდუქცია ქალაქში, ამასთან, ისინი თავისუფლდებიან საგადასახადო ხარჯებისგან და სეზონის მიხედვით მოწეულ მოსავალს, ე. წ. პირველად ფასებში თვითონვე ყიდიან... უფრო მეტიც, მათ ულირთ, თუნდაც ნახევარ ფასად გაყიდონ თავიანთი მოსავალი... ჩვენთან ბაზარი მხოლოდ „ბაზარი“ როდია!.. ალბათ, ნახეთ მუსიკოსები! ისინი ზეიმის ელფერს აძლევენ ბაზრობას!..

შევნატრე!

მასპინძლებისთვის არ მითქვამს, მაგრამ თვალი „გადავავლე“ ჩვენს „თბილისობას“, წელიწადში ერთხელ რომ „ვაპურებთ“ ქალაქს და მაშინაც...

...„თბილისობის“ წინა ღამეს თვალი მოვკარი უზარმაზარი სატვირთო მანქანიდან როგორ ჩამოტვირთეს „მოტეხილი“ სულუგუნი ერთ-ერთ გასტრონომთან“. ცოტა მოშორებით ჩამოცლას ელოდებოდა „ავტომაცივარი!“.. ვიღაცამ თქვა:

– ახალი ხორცითააო სავსე!..

ხვალ მას „უთუს ბირად“ გაყიდდნენ „ძორები“!..

...ასე მგონია, ფრიად ყურადსაღები მაგალითები „მოვიყვანე“ ახლა მე, მაგრამ, საქართველო მარტო თბილისი ხომ არ არის?..

ალბათ, წაიკითხავენ ჩვენი „მუნიციპალიტეტები“ ამ „მაგალითებს“!

**ზაურ ფიფია**

**ვითარება**

## „აქლემების“ ჭილიში კვლავ „კოზაკი“ გაიჭყლიტა!

### რატომ შეუწყვიტა „ახალმა ქსელებმა“ საკუთარ აბონენტებს მომსახურება?

**„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ დაგეგმა სხვადასხვა კომპანიების მიერ უკანონოდ, ნორმების სრული დარღვევით შემოჭრილი კაბელების დემონტაჟი თავის საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაში.**



3 აპრილს დემონტაჟს დაექვემდებარა „ახალი ქსელების“ მიერ ჩადებული სხვადასხვა ტიპის კაბელი და უკანონო აპარატურა, რომელიც აღმოჩენილია „გაერთიანებული ტელეკომის“ სატელეფონო ჭებსა და სადგურებში.

„ახალმა ქსელებმა“ უარი განაცხადა „გაერთიანებული ტელეკომის“ შეთავაზებაზე, კავშირის უზრუნველყოფისთვის გამოეყენებინა მისი ალტერნატიული არხები, რითაც თავიდან აიცილებდნენ აბონენტების გათიშვას.

3 აპრილსვე 14.25 საათზე, „გაერთიანებული ტელეკომის“ სადისპეტჩერო სამსახურმა აღნუსხა „ახალი ქსელების“ მხრიდან კავშირების შეფერხებები. კერძოდ, „ახალმა ქსელებმა“ განახორციელა შეზღუდვები, რითაც „გაერთიანებული ტელეკომის“ 37 ინდექსის აბონენტი ვერ უკავშირდება „ახალი ქსელების“ 7-იანით დაწყებულ ნომრებს, ასევე „გაერთიანებული ტელეკომის“ 7-იანი ინდექსის აბონენტი ვერ ახორციელებს კავშირს „ახალი ქსელების“ 6-იანი ინდექსის აბონენტებთან.

ამ ქმედებით დაირღვა საქართველოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მესამე პუნქტი, რითაც წესრიგდება კომპანიებს შორის ურთიერთჩართვა და კრძალავს რომელიმე კომპანიის მხრიდან ურთიერთჩართვის თვითნებურად შეწყვეტას. ურთიერთჩართვის შეწყვეტის უფლება არც ერთ ოპერატორს არა აქვს. ეს მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივაა.

„ახალი ქსელები“ ბოროტად იყენებს და მანიპულირებს საკუთარი აბონენტების ინტერესებით და მათ მომსახურებას უწყვეტს, რითაც სურს გადაფაროს ის ფინანსური პრობლემები, რაც „გაერთიანებულ ტელეკომთან“ დაუგროვდა.

– არ გვინდოდა ორ კომპანიას შორის წარმოშობილი ფინანსური საკითხები აბონენტებზე ასახულიყო. თუმცა, „ახალმა ქსელებმა“ როგორც საკუთარ, ისე ჩვენს აბონენტებს შეუწყვიტა ერთმანეთთან კავშირის შესაძლებლობა. ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ, რომ მომსახურების ტექნიკურ ხარვეზებზე, რომლებიც ხელოვნურად შექმნა „ახალმა ქსელებმა“, „გაერთიანებული ტელეკომი“ პასუხისმგებლობას იხსნის, – აცხადებს „გაერთიანებული ტელეკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ივა მარტიაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ინფორმაცია**

## ქართველი მეომრები კვლავ ავღანეთში გაემგზავრებიან

**საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება ავღანეთში სამშვიდობო შენაერთების გაგზავნის შესახებ კვლავ ძალაში რჩება. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ განაცხადა.**

**საქართველო ნაკისრ ვალდებულებას – გააგზავნოს ავღანეთში სამშვიდობო კონტინგენტი, ძალაში რჩება, 200 ქართველი მშვიდობის დამცველი ავღანეთში გაემგზავრება, ამავე დროს ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ჰოლანდიასა და საფრანგეთთან მათ სამშვიდობო ძალებთან ერთად ავღანეთში ქართული ძალების თანამონაწილეობის შესახებ, – აცხადებს ქუთელია.**

**შეგახსენებთ, რომ 2004 წლის სექტემბრიდან – დეკემბრის ჩათვლით გერმანიის კონტინგენტთან ერთად 50 ქართველი მონაწილეობდა ავღანეთში განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციაში.**

## „ახალ ქსელებს“ სოლიდარობას უცხადებენ

**ინტერნეტ-პროვაიდერი „კავკაზუს ონლაინი“ „გაერთიანებული ტელეკომის“ მიერ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურიდან „ახალი ქსელების“ სადენების დემონტაჟის ფაქტს გმობს.**

**„გაერთიანებული ტელეკომის“ მხრიდან, ბაზარზე მოქმედი ოპერატორებისადმი ამგვარი დამოკიდებულება, „კავკაზუს ონლაინის“ შეფასებით, ცივილიზებული ბიზნეს-ეთიკის ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება.**

**„კავკაზუს ონლაინის“ ადმინისტრაცია „ახალ ქსელებს“ შექმნილ ვითარებაში სოლიდარობას უცხადებს.**

**„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ საიჯარო დავალიანების გამო, რომელიც 8 მლნ ლარს შეადგენს, „გაერთიანებული ტელეკომის“ სატელეფონო ჭებში და სადგურებში „ახალი ქსელების“ სხვადასხვა ტიპის კაბელის და უკანონო აპარატურის დემონტაჟი ორი დღის წინათ დაიწყო.**

**ყაზახური კომპანიის აღნიშნული ქმედება, ქართული კომპანია „ახალი ქსელების“ ათიათასობით აბონენტს სატელეფონო მომსახურების გარეშე დატოვებს.**

**ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი**

# ქალი ორ საუკუნეში

● სიზმრებში ხშირად ვხედავ ჭრელი ჩიტებით დაფარულ ზეცას, ტრიალებენ, ჟივჟივებენ. მეც თითქოს მათთან მივფრინავ, მინდა ავიჭრა ზევით, მაგრამ ისეა ზეცა გადაჭედილი, რომ ზევით ვერასგზით ვაღწევ




## შესანატრი იშვიათობა

**რა იყო, თქვე კაი ხალხო, ამ ხნის ქალს, ამდენი შეკითხვით რას აწუხებდითო, იტყვის მავანი, და შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ, რა ვქნათ, ჩემო კარგებო: ქალბატონ მარიკას ტელეფონით ვესაუბრეთ, ჩვენი განზრახვაც გავანდეთ და სიამოვნებით მიგვიპატიჟა შინ, მობრძანდით, თუ ვერ შევძლებ, იქნებ სულაც დავიტოვო შეკითხვები და სვენებ-სვენებით გავცე პასუხიო.**

**ჰოდა, გავქანდი ფოტორეპორტიორ ალექსანდრე კოტორაშვილთან ერთად საბურთალოზე, საირმის გორაზე...**

**...მთელი ცხოვრება მარიკა ბარათაშვილისა, თითქოს ერთიანად გამოფენილა ბინაში — ვისთან ერთად არ ნახავთ ფოტოსურათებზე ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს — ახლობლებში, მეგობრებში, კოლეგებში... უზადო გარეგნობა, სულ ღიმილი... ღიმილი... ახლაც ღიმილით, შუქიანი თვალებით შემოიყვანა ახლობელმა ქალბატონმა იმ ოთახში, სადაც მე და სანდრო კოტორაშვილი სურათებს ვათვალიერებდით. გვიცნო ორთავე, მოგვეფერა... სანდრო თავს იწონებს, აი, ეს თქვენი ორი სურათი, ჩემი გადაღებულიო, კედელზე უთითებს... ვსაუბრობთ, ეტყობა, ცოტა ყურთ აკლია და, ჩემი აწეული ხმით ნამეტანი რომ არ შევაწუხო, მართლაც ვამჯობინებ შეკითხვების დატოვებას.**

**თვალებში სიყვარულჩამდგარი ღიმილით გვაცილებს ქალბატონი მარიკა...**

**მესამე დღეს ინტერვიუ უკვე მზად იყო, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:**

# სიცოცხლე-სიყვარულმისჯილი პოეტი...

## ასი შეკითხვა ასი წლის მარიკა ბარათაშვილს

### ბავშვობა და ყმაწვილქალობა

**— ქალბატონო მარიკა, ქართველმა მკითხველმა, შემოქმედებითმა ინტელიგენციამ იცის, რომ თქვენ ძირ-ფესვით ჭიათურელი ბრძანდებით. ქალაქ ჭიათურაში დაიბადეთ?**

— დიახ, დავიბადე ქალაქ ჭიათურაში, 1908 წლის 7 აპრილს.

**— ვინ იყვნენ წინაპრები, მშობლები?**

— მშობლები პედაგოგები იყვნენ — ვერა კასრაძე-ბარათაშვილისა და გერვასი ბარათაშვილი.

**— თქვენი, დღემდე გამოყოლილი ბავშვობის დროინდელი ტკბილ-მწარე მოგონება.**

— გამახსენდა ერთი მწარე ამბავი. ზამთარში ჩვენს სკოლას ცეცხლი წაეკიდა, დედაჩემი იმ სიცივეში აქეთ-იქით დარბოდა, მოუხმობდა ხალხს საშველად, ისე გაცივდა, რომ მძიმედ დაავადდა... წარმოიდგინეთ, ისე გავიზარდე, კოცნაც კი არ მახსოვს მისგან პატარა გოგოს. თვალი მრჩებოდა, დედები ჩემს თანაკლასელებს რომ მოეფერებოდნენ.

**— რამდენი დედ-მამიშვილი იყავით?**

— ორი დედმამიშვილი ვიყავით, მე და ჩემი ძმა.

**— თქვენ, ალბათ, ცელქი, ხალისიანი... აბა, ისე, მოგვიანებით, „ჭრიჭინას“ რა შეგაქმნევინებდათ?**

— გეტყვით თამამად: „ჭრიჭინა“ ჩემი პროტოტიპია.

**— სკოლაში სად სწავლობდით?**

— სკოლა მერევში დავამთავრე...

**— როგორ სწავლობდით?**

— კარგი მოსწავლე ვიყავი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგანაც ჩემი მშობლები იმავე სკოლაში ასწავლიდნენ.

**— რომელი საგანი გიყვარდათ განსაკუთრებით?**

— ჰუმანიტარული საგნები.

**— პირველი ლექსი მოწაფეობისას დაწერეთ?**

— კი. საბავშვო ლექსებით დავიწყე.

**— სკოლის ასაკში შეყვარებული თუ იყავით?**

— შეყვარებულს ვერ დავარქმევდი, მაგრამ ძალიან კი მომწონდა ერთი ბიჭი. მას რომ დავინახავდი, შუბლს შევიკრავდი. აი ეს იყო ჩემი სიყვარული.

### სტუდენტობა და პოეზიასთან ზიარება

**— თბილისი პირველად რა ასაკში ნახეთ?**

— ბავშვობაში.

**— სად შეხვედით უმაღლესი განათლების მისაღებად?**

— თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

**— თბილისში სად ცხოვრობდით?**

— მთაწმინდის უბანში.

**— ვინ იყო თქვენი საყვარელი ლექტორი?**

— მაპატიეთ, აღარ მაგონდება.

**— განსაკუთრებით რომელ საგნებს დაეწაფეთ?**

— ქართულს.

**— უკვე გეყოლებოდათ საყვარელი მწერალი, წიგნი, ლექსი, პროზაული ნაწარმოები...**

— ჩემი საყვარელი მწერალი ჩემივე ბაბუა შიო მღვიმელი იყო (დედის მხრიდან ბებიის ძმაძ. მის ლექსებზე გავიზარდე და მეც გამიჩნდა სურვილი იმასავით ლექსები მეწერა.

**— ვის გაანდეთ პირველად, რომ ლექსებს წერდით?**

— ოჯახს.

**— როდის გაბედეთ, რომ ლექსები რომელიმე რედაქციაში მიგეტანათ დასაბეჭდად?**

— ჩემი პირველი ლექსი 1936 წელს გამოქვეყნდა ჭიათურის გაზეთ „მაღაროელში“.

**— ვისი კეთილი დამოკიდებულება გახსოვთ ამ დროს — მწერლის, ლიტერატორის, კრიტიკოსის?**

— შიო ყოველთვის მაქეზებდა: წერე, აბა, შენ იციო.

**— ვის უმადლით თქვენი პირველი ლექსების დაბეჭდვას?**

— მეც გავხალისდი პაპას შექებით და ალბათ მას უნდა ვუმადლოდე პირველი ლექსების დაბეჭდვას.

### ქალიშვილობის, დაოჯახების, აქტიური შემოქმედების წლები

**— ვინ იყვნენ თქვენი დაქალები, ახლო მეგობრები?**

— ბევრი მყავდა, მაგრამ მაინც ჩემი სკოლის მეგობარი თამარ მხეიძე მიყვარდა. მე მას ლექსიც მივუძღვენი.

**— ახალგაზრდობის წლების ყველაზე ნაღვლიანი გახსენება.**

— ძმის დაღუპვა.

**— ხშირად იბეჭდებოდით?**

— კი, ხშირად.

**— როგორი გამოხმაურება ჰქონდა თქვენს ლექსებს?**

— ეს მკითხველმა თავად თქვას.

**— მე გამიგია, ფოტოსურათებში მინახავს, რომ გქონდათ იშვიათი გარეგნობა. ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ? მოგვიანებით „დიდი კაცი“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მიხეილ გიორგაძეც გეტრფოდათ, თურმე, ახალგაზრდობაში, მაგრამ დაგიწუნებიათ, ქალამნები გაცვიაო.**

— ძალიან ლამაზი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ კარგი ქალი ნამდვილად ვიყავი. გიორგაძის შესახებ ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ, აი, სოსო გრიშაშვილი ყველას გვეტრფოდა.

**— ვის დაუკავშირეთ თქვენი ბედი?**

— ჩემი ბედი კვიროსი ყურაშვილს დავუკავშირე... ის პროფესიით ქირურგი იყო.

**— სიამტკბილობით ცხოვრობდით?**

— სულ ხუთი თვე. შემდეგ იგი ნადირობისას გაცივდა, ზამთრის პირი იყო, ჩავარდა პალიასტომის ტბაში და 12 წელი ავადმყოფს ვუარე.

**— თქვენი პირველი წიგნი როდის გამოვიდა?**

— 1945 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი კრებული.

**— როგორი გამოხმაურება ჰქონდა?**

— ალბათ, კარგი.

**— რამდენი შვილი გააჩინეთ და გაზარდეთ?**

— ორი.

**— როგორ უთავსებდით ერთმანეთს ოჯახსა და შემოქმედებას?**

— ჩემი შემოქმედება ღამე იქმნებოდა, როცა ყველას ეძინა.

**— ვინ გეხმარებოდათ შვილების აღზრდაში?**

— შვილები მე თვითონ დავზარდე.

**— რამდენად გიყვარდათ სარკე და გაკოხტავება?!**

— სად მეცალა კოხტაობისთვის.

**— სად მსახურობდით თავიდან?**

— შორაპნის სამაზრო ფინგანში.

**— თეატრის სიყვარული თეატრალურმა ქალაქმა ჭიათურამაც ჩაგინერგათ?**

— დიახ.

**— რამ განაპირობა დრამატურგიაში კალმის მოსინჯვა?**

— უშანგი ჩხეიძე ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო. ყოველთვის ვესწრებოდი ჭიათურაში თუ თბილისში მის სპექტაკლებს და რატომღაც ჩემი ძალები დრამატურგიაშიც მოვსინჯე.

**— „ჭრიჭინა“ უპოპულარესი პიესა გამოდგა...**

— დიახ, „ჭრიჭინამ“ საბჭოთა კავშირის 170 და უცხოეთის 22 თეატრში „იჭრიჭინა“.

**— ფილმი უფრო მოგწონდათ თუ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „მარინე“?**

— ორივე არაჩვეულებრივია.

**— თუ არ ვცდები, ამ ნაწარმოებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაც კი მოგიტანათ.**

— დიახ.

**— როგორ იყენებდით ხალხის საკეთილდღეოდ დეპუტატის უფლებებს?**

— ყოველთვის ხალხზე ვზრუნავდი, განსაკუთრებით ვიცავდი ქალების უფლებებს.

**— როგორ დაიწერა თქვენი „საპოვნელა“?**

— „საპოვნელა“ იმერეთში დაიწერა. ჩასული ვიყავი იქ, მიწაზე გართხმული ულამაზესი ყვავილი ავიტაცე ხელში და ვთქვი — ღმერთო, რა ჰქვია ამ ლამაზ ყვავილს? ამიხსნეს, რომ ეს იყო საპოვნელა და თუ რაიმეს შესთხოვ, დაკარგულს გაპოვნინებსო და ამის შემდეგ შეიქმნა ჩემი „საპოვნელა“.

**— „საპოვნელას“ გარდა თუა კიდევ თქვენი რომელიმე ლექსი ამღერებული?**

— კი, რამდენიმე, მხოლოდ ისინი „ჭრიჭინაში“ და სპექტაკლებშია გამოყენებული.

**— რომელ ქართველ მწერლებთან მეგობრობდით განსაკუთრებულად?**

— ყველა ჩემი მეგობარი იყო. ჩვენ ერთი ოჯახი ვიყავით.

**— რა კვალი დააჩნია პირადად თქვენს ცხოვრებას 30-იანმა წლებმა და დიდმა სამამულო ომმა?**

— 30-იანმა წლებმა ძმა დამაკარგვინა, დიდმა ომმა ბევრი ჩემი ახლობელი გამოგვაცალა ხელიდან.

**— თქვენი თაობის ქართველ მწერალ და პოეტ ქალებზე რა აზრისა ბრძანდებით?**

— საქართველოს მწერალთა დიდი ბურჯი იყო ჩემი თაობის პოეტი ქალები.

**— ვის გაუჩნდა „ზემოთ“ იდეა, რომ თქვენ „საქართველოს ქალის“ რედაქტორად დაენიშნეთ?**

— ეს აღარ მახსოვს.

**— მახსოვს, რა მეგობრული კოლექტივი გქონდათ რედაქციაში... ერთადერთი კაცი გყავდათ — ფოტორეპორტიორი დავით იაკობაშვილი...**

— მართლაც ერთადერთი კაცი გვყავდა. მეგობრული, ნიჭიერი ადამიანი, მუსიკალური... საერთოდ, მეგობრული კოლექტივი გვყავდა, ახლაც მეხმიანებიან ტელეფონით ჩემი გოგოები...

# ქალი ორ საუკუნეში

● გნებავთ გადახედეთ ჩემს ლექსებს, მუზა ძველებურად ისევ ჩემთანაა

## ◎ შესანატრი იშვიათობა

**— რა მოგიტანათ სასიკეთო ჟურნალისტიკამ?**

— ჟურნალისტიკამ ცხოვრებისეული გამოცდილება მომცა. ბევრი მეგობარი შემძინა.

**— თუ იყენებდით მარჯვედ რედაქციისთვის, ჟურნალის გამოცემისთვის იმას, რომ თქვენთან ბატონი ედუარდ შევარდნაძის მეუღლე მუშაობდა — ქალბატონი ნანული ცაგარეიშვილი.**

— ჩვენ ერთი მეგობრული გუნდი ვიყავით. ზედმეტად რატომ უნდა შეგვეწუხებინა, ან გამოგვეყენებინა? არ იყო საჭირო.

**— თქვენი კიდევ ერთი პიესა „ჩემი ყვავილეთიც“ წარმატებით იდგმებოდა.**

— საქართველოს სხვადასხვა თეატრების სცენაზე იდგმებოდა პიესა „ჩემი ყვავილეთი“ და არა მარტო ის. იდგმებოდა ასევე „სართულები“, „მაღალი ოცნება“, „რატომ“, „სიყვარულის წისქვილი“, „ჩქარი მატარებელი“, „ფრთხილად სასიკვდილოა“.

**— როგორი ურთიერთობა გქონდათ რეჟისორებთან, დამთმობი იყავით?**

— პრინციპული ვიყავი, მაგრამ ჯიუტი არა.

**— ზემო იმერეთში ხშირად ჩადიოდით?**

— ზაფხულობით.

**— ცხადია, თქვენ კომუნისტი ქალბატონი იყავით... შინაგანად თუ გწამდათ ღმერთი?**

— ჩემი მამა-პაპანი სასულიერო წოდებისანი იყვნენ და ბავშვობიდანვე ჩემთვის უცხო არ ყოფილა ღმერთის მოწამეობა.

**— როგორ მუშაობდით, როგორ მუშაობთ...**

— ჩაბმული ვიყავი საზოგადოებრივ საქმიანობაში, ახლა კი სახლში ლექსებზე ვმუშაობ.

**— ერთი ამოსუნთქვით წერთ ლექსს თუ კარგა ხანს „აშალაშინებთ“?**

— როდესაც მოვარდება, ერთი ამოსუნთქვით ვწერ. მას „შალაშინი“ არ სჭირდება.

**— თქვენი საყვარელი ლექსი, პიესა, პოეტი, დრამატურგი.**

— მე ყველა პოეტის ლექსები მიყვარს. არ შემიძლია რომელიმე გამოვყო. ყველა ჩემი გულის სიღრმეშია. სანამ შემექლო პიესებს ვესწრებოდი, ძალიანაც კმაყოფილი ვრჩებოდი, ცუდი პიესა არც დაიდგმებოდა... პოეტი — დიდი გალაკტიონი.

**— თქვენ „აცამტვერებთ“ დიდი გიორგი ლეონიძის ფრთიან ფრაზას: „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“.. აგერ, რამდენიმე დღის წინათ ასი წლის შემოქმედმა ლექსი მიუძღვენით ქალბატონ ანა კალანდაძის ხსოვნას... ეს, ალბათ, უნიკალური შემთხვევაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც კი... ახლა არ მითხრათ, მუზა ძველებურად მოდისო...**

— მე დიდ პატივს ვცემ გოგლას თითოეულ სიტყვას, მაგრამ მუზამ განა მარტო სიჭაბუკე იცის? — არა, ჩემო კარგებო, გნებავთ გადახედეთ ჩემს ლექსებს, მუზა ძველებურად ისევ ჩემთანაა.

**— როგორი დედა იყავით — მკაცრი, დამთმობი, ლმობიერი...**

— ლმობიერი, ობლებს, რაღა სიმკაცრე უნდოდათ.

**— ამასობაში შვილები დაიზარდნენ, თქვენს რჩევას იზიარებდნენ?**

— ჩემი შვილები რჩევას ჩემგან ყოველთვის ისმენდნენ, მაგრამ ცხოვრებაში გზა თავად გაიკვლიეს.

**— როგორ ეგუებოდა მეუღლე იმას, რომ თქვენ ასეთი სახელოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყავით?**

— ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ჩემს ობლებთან ერთად მეორე ოჯახი შევქმენი. ჩემს მეუღლე ბიძინას, პირიქით, ეამაყებოდა რომ მე მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვიყავი.

**— თქვენ პირველმა ქორწინებამ არ გაგიმართლათ...**

— არგამართლება რბილად ნათქვამია. ჩემი პირველი ქორწინება ტრაგიკულმა სიკვდილმა დაამთავრა.

**— როგორ ატარებდით თავისუფალ დროს?**

— თავისუფალი დრო არასდროს მქონია.

**— ვინ იყო და ვინ რჩება თქვენთვის დღემდე იდეალურ ქალად?**

— ყველა კარგი ქართველი ქალი ჩემი იდეალია.

**— ცოტას ხომ არ კუდაბზიკობდით თქვენი გვარიშვილობის გამო?**

— არასდროს.

**— თქვენი უამრავი გამოცემებიდან რომელი ლექსების კრებული გიყვართ გამორჩეულად და რატომ?**

— ყველა ჩემი საყვარელი შვილია.

### შემოდგომა, ზამთარი...

**— წელიწადის რომელი დროა უფრო ნაყოფიერი თქვენი შემოქმედებითი საქმიანობისთვის?**

— შემოქმედებით საქმიანობას წელიწადის დრო არ სჭირდება. თუ მოვიდა შენთან, ჩაეჭიდე და შენი საკუთრება გახდება.

**— მუშაობისას თქვენთვის აუცილებელია სიჩუმე, განმარტოება?**

— სიჩუმე აუცილებელია.

**— როგორ გგონიათ, რომ არა საბჭოთა ცენზურა, თქვენი ნიჭი მეტად გაიფურჩქნებოდა?**

— რა ვიცი...

**— როგორი ურთიერთობა გქონდათ რედაქტორებთან და ვის ემადლიერებით ამ მხრივ განსაკუთრებულად?**

— კარგად ვიყავი რედაქტორებთან. ჩვენ ყველას ჩვენი საქმე გვქონდა. გასაყოფი არაფერი გვქონდა ერთმანეთთან.

**— მე მსმენია თქვენი დიდი კეთილშობილების შესახებ. ასეთ სახელოვან ქალბატონს ბევრისთვის გაგიწვდიათ დახმარების ხელი?**

— რა ჩამოთვლის მაგას. ახლაც კი მირეკავენ, ქალბატონო მარიკა, ისევ თქვენი იმედი გვაქვს, ისევ თქვენ გვიშველითო. მე კი ცრემლები მადგება, რაღა შემიძლია საუკუნის ქალს!

**— თქვენ უამრავი მეგობარი თანამო-**



**კალმე გეყოლებოდათ ყოფილ საბჭოთა კავშირში, საზღვარგარეთ... ვის იგონებთ დღეს განსაკუთრებით?**

— დაუვიწყარია ჩემი მეგობრობა ბელა ახმადულინასთან.

**— ოჯახში ხშირი სტუმრიანობა გქონდათ?**

— საშუალოდ.

**— ქართული კერძებიდან, ცხადია, იმერულს გამოარჩევთ...**

— რა თქმა უნდა...

**— გურმანი ბრძანდებით?**

— გემრიელს ყველაფერს მივირთმევ.

**— ფიქრობთ თუ არა, რომ ქართული სუფრა, ქართული ნადიმი ჰკარგავს თავის პეწს და განუმეორებლობას.**

— ყოველ შემთხვევაში ჩემს ოჯახში ეგრე არ არის.



**— „ჭრიჭინას“ ავტორს შეუძლებელია სიმღერის ნიჭი არ დაგყოლოდათ.**

— კი, ჩემთვის რაღაცას ვახერხებ.

**— როგორი ქართული სიმღერები მოგწონთ — ფოლკლორული, სუფრული...**

— ყველაფერი ქართული სიგიჟემდე მიყვარს, ფოლკლორიც, სუფრულიც და რომანსებიც.

**— ქართველი კაცის ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი თვისება...**

— ქართველი კაცი უნდა იყოს სამართლიანი, ვაჟკაცური და არა ეგოისტი.

**— ცხადია, ამაყობთ თქვენი ქართველობით, რა მიგაჩნიათ საამაყოდ?**

— მეამაყება ჩვენი სამართლიანი ტრადიციები.

**— თქვენ გჯერათ, რომ საქართველო იქნება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა?**

— მე მინდა, რომ მჯეროდეს, იმიტომ რომ საამისოდ ბევრი კარგი თვისება გვაქვს.

**— რა ძალისხმევაა ამისთვის საჭირო?**

— კულტურა.

**— ახლაც, ასი წლის ასაკშიც თუ უბრუნდებით ხოლმე თქვენს საყვარელ წიგნებს, რომელია ისინი?**

— მე ახლა მხედველობა ძალიან მღალატობს, ყველაფერს ჩემი ეთერი მიკითხავს.

**— თქვენი სიცოცხლის ხანგრძლივობას გენეტიკით ხსნით თუ უფლის ნებით?**

— ორივე სახით გამართლებულია.

**— წელიწადის დროებიდან, ალბათ, გაზაფხული და, განსაკუთრებით, აპრილი გიყვართ...**

— გაზაფხულზე მეც ვცოცხლდები.

**— როგორ აღნიშნავთ დაბადების დღეებს?**

— ჩემთან იკრიბებიან ჩემი მეგობრები. მიხარია, რომ ამ ხანდაზმულობის დროსაც ჩემ სახლს ავსებენ ისინი.

**— რომელი საიუბილეო თარიღი დაგახსომდათ განსაკუთრებით?**

— განსაკუთრებით ჩემი „ჭრიჭინას“ გმირები რომ მესტუმრნენ.

**— თქვენ უამრავი სამთავრობო ჯილდო გექნებათ მიღებული. რომელია თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი?**

— უჰ, ბევრია ძალიან.

**— რა გამოარჩევდა თქვენს თაობას დღევანდელი თაობისაგან?**

— ძნელია ამის თქმა... ახალი თაობა თავისი გზით მიდის.

**— ცხოვრების გრძელ გზაზე რა არ გადაგიტანიათ, რომელი იყო თქვენთვის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე სამწუხარო დღეები?**

— ჩემი ცხოვრების გზა გრძელია, მაგრამ ისეთი გაელვებაა საუკუნე, რომ სასიხარულო დღეები ცოტა შემომრჩა, ადამიანმა რომ სიხარული იგრძნოს, ერთი სიცოცხლე საკმარისი არ ყოფილა. მწუხარების დღეებს ნუღარ მეტყვით, მარტო ჩემი ორი საუკეთესო შვილის დაკარგვა... ეჰ...

**— დღევანდელი საქართველოს მაჯისცემას თუ აყურადებთ? რას ურჩევდით ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს?**

— მეტი პატივისცემა სხვისი აზრისა, თავშეკავების უნარი.

**— დღევანდელ საქართველოში, სამწუხაროდ, ქალი გახდა ოჯახის მარჩენალი. გროშების საშოვნელად ისინი უცხო ქვეყნებისკენ ესწრაფვიან... ცხადია, გიფიქრიათ მათზე... რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ სამშობლოში მათ დასაბრუნებლად?**

— უნდა შეიქმნას სამუშაო ობიექტები. ქალს კი არა, საერთოდ ადამიანს უნდა ჰქონდეს მუშაობის საშუალება.

**— ბოლოს როდის იყავით თქვენს მშობლიურ ზემო იმერეთში?**

— ორი წლის წინათ...

**— აი, ისევ გვესტუმრა გაზაფხული, აყვავილდა ყველაფერი... თქვენ რომელი ყვავილის ფერი და სურნელი მოგწონთ?**

— თუ ყვავილს სურნელება აქვს, არ შეიძლება ნებისმიერი არ გიყვარდეს.

**— ვიცი, რომ შვილიშვილები და შვილთაშვილებია ზრუნავენ თქვენს ჯანმრთელობაზე, თქვენს ყოველდღიურობაზე...**

— ყველა თავს მევლება...

**— ასი წლის ქალბატონი რა სურვილის ასრულებას ინატრებდით?**

— ჩემი დიდი სურვილია, ყველას ჰქონდეს თავისი სამუშაო ადგილი, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

**— ქალბატონო მარიკა, როგორ ფიქრობთ, ამდენი ხნის სიცოცხლე ჯილდოა თუ სასჯელი?**

— რა გითხრათ, იცით? ჯილდოა, მთავარია, როგორ გამოიყენებ მას.

**— სიზმრებში უფრო ხშირად ვის ხედავთ ხოლმე?**

— სიზმრებში ხშირად ვხედავ ჭრელი ჩიტებით დაფარულ ზეცას, ტრიალებენ, ჟივჟივებენ. მეც თითქოს მათთან მივფრინავ, მინდა ავიჭრა ზევით, მაგრამ ისეა ზეცა გადაჭედილი, რომ ზევით ვერასგზით ვაღწევ.

**— როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, მით უმეტეს, ამ ავ დროში, რომ თქვენებრ უმწიკვლოდ გაატაროს ცხოვრება?**

— დღევანდელ დღეს ძალიან ძნელია ადამიანურად ცხოვრება, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ, ეგებ ერთმანეთთან სიახლოვემ გადაგვატანინოს.

**— დალოცეთ ჩვენი რედაქცია... ვიცით, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ თქვენი საყვარელი გაზეთია...**

— დავლოცავ თქვენს გაზეთს — „საქართველოს რესპუბლიკას“, თქვენს რედაქციას, კეთილი და სამართლიანი საქმიანობისათვის.

**— გაზაფხული აუცილებლად მოაფრენდა თქვენთან მუზას. იქნებ ლექსით შეეხმიანოთ თქვენს საყვარელ სამშობლოს, მშობელ ხალხს...**

— მოგაწვდით პატარა ლექსს, „სურვილად“ მოვნათლე:

*დავდივართ ქვეყნად, ვმღერით და*
*ვმღერით,*
*ცა მოგვცა ღმერთმა მრავალი ფერის.*
*ჩვენც მივყვეთ, მივყვეთ, გული*
*გავითბოთ,*
*ვეძებოთ მადლი, სადაც კი ვიყოთ.*
*ჩვენი გრძნობები, ათასი ფერის,*
*ამ ქვეყნად უხვად ჩამოვარიგოთ.*

* * *

**ხომ ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ახლაც, ასი წლის ასაკშიც, როგორ აზროვნებს, რა პოეტური სტრიქონებით გვილოცავს ქალბატონი მარიკა...**

**მე პირადად ვერ გავიხსენე: იყო კი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მწერალი, რომელსაც ასი წლისას შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები შეექმნას? ვერ გავიხსენე... ჩვენი დიდებული ქალბატონი, ამ მხრივ, გინესის რეკორდების წიგნში შესაყვანია... დაილოცოს, ღმერთო, შენი ნება! დაილოცოს ქართული გენი! იცოცხლეთ, ქალბატონო მარიკა!**

**ვილენ მარდალეიშვილი**



**ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №108**

ჟურნალისტიკის სწავლების ამერიკული მეთოდი ჯონ მაქსველ ჰამილტონის და ჯორჯ კრიმსკის ყველაზე რეიტინგულად აღიარებულ სახელმძღვანელოშია მოცემული: **„თუ დედა გეუბნებათ, რომ უყვარხართ, შეამოწმეთ, ხომ არ ტყუის“...** ეს შეგონება ჩვენი მენტალიტეტის ენაზე ნიშნავს: მთავარია ფაქტები და არა ემოციები. არაფერი დაიჯერო. მშვიდად და მიუკერძოებლად მოიძიე საბუთები და არგუმენტები...

პოეზიის თეორეტიკოსები კი ჩვენს ერაშიც, ემოციურსა და ინტუიციურს მიიჩნევენ შემოქმედების ჭეშმარიტ რაობად და „წმინდა პოეზიის“ ცნებას ევროპაში მუდამ არსებულ ესთეტიკურ დოქტრინებს უკავშირებენ (სერჟო სოლმიძ.

თვისობრივად გაევროპელებულ – გაამერიკელებული ჩვენი ქვეყანა სინთეზის ფორმულას ოდითგანვე, ატარებდა (ევროპული ინდივიდუალიზმი და აღმოსავლურად განფენილი გრძნობადობაძ. ამაში ხედავდნენ, თანამედროვე სიტყვათა შეთანხმება რომ ვიხმაროთ, „უცხოელი დამკვირვებლები“ ჩვენს ღირებულებებს.

ძნელი სათქმელია, იცვლება თუ არა პიროვნების მენტალიტეტი ემიგრირებისას, ანუ გადასახლების მერე. იგულისხმება თუ არა აქ მითოლოგიური „სულთა გადასახლებაც“... მაგრამ ცხადია, მშობლიურ გარემოსთან ერთად ადამიანები სიტყვების (ენისძ მშობლიურ სივრცესაც ტოვებენ და წლების შემდეგ ამგვარი ნამდვილი კონტაქტები ძნელად აღსადგენი ხდება.

ემიგრანტთა ბეჭდური გამოცემების მესვეურთა პასუხისმგებლობა ორი პუბლიკუმის წინაშე იგულისხმება: აქაურთა და იქაურთათვის. მით უმეტეს, როცა საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფთა არსებობა და ბედისწერა აქ დარჩენილთა ცხოვრებასა და ცნობიერებაზე განუზომელ გავლენას ახდენს.

* * *

დიდ ბრიტანეთში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალს **„თანამემამულე“** საქართველოს ახალი ღერბის რეპროდუქციის გასწვრივ, წითელი ასოებით, თვალსაჩინოდ ეწერა: **„უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ცენტრალური პერიოდული გამოცემა“.**

როგორც ჩანს, სიტყვა **„ცენტრალური“** ამ შემთხვევაში უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრებ კორესპონდენტთა ქსელს გულისხმობს, ხოლო იდეოლოგიური თვალსაზრისით, გვეჩვენება, რომ იგი ოდენ ცალმხრივია და სწორხაზოვანი და Центральная газета-ს ჩვენთვის უკვე დავიწყებულ კლიშეს მოგვაგონებს.

* * *

„საქართველოს რესპუბლიკა“ თანადგომის გულწრფელი სურვილით, რამდენჯერმე გამოეხმაურა „თანამემამულის“ არსებობის ფაქტს. მაშინაც, როცა ჟურნალი ჯერ კიდევ მიუნჰენში გამოდიოდა და მაშინაც, როცა რედაქცია ლონდონში გადავიდა... რედაქტორი ბატონი **ზაზა მესხი** თავმდაბლურად აღიარებდა, რომ საგამომცემლო საქმის არაპროფესიონალი გახლდათ (იგი პროფესიით ინჟინერიაძ და ფორმატისა თუ შინაარსის ცვლილებებზე საუბრობდა...



ცვლილება კი ამ ეტაპზე ყდის ფერის შეცვლით, „ცენტრალური ჟურნალის“ სახელდებით და დაუბალანსებელი პოლიტიკური იმიჯით გამოიხატა.

„თანამემამულის“ 2007-08 წლის დეკემბერ-იანვრის ნომრის მეთაური წერილები საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გაანალიზებას ცდილობს.

პირველი პუბლიკაციის სათაური, არც მეტი, არც ნაკლები, ასე გამოიყურება: **„კრაზანების ბუდე“, ანუ გიჟები ხართ, ბიძია, თქვენ ვინცა ხართ“.** (არც აქ და არც ქვემოთ პუნქტუაციურ თუ სტილისტურ შეცდომებზე არ შევჩერდებით. მადლობელი ვართ იმისიც, რომ ემიგრანტებს ქართული არ ავიწყდებათძ.

ის ეპოქები, როცა პოლიტიკა სახიფათო მნიშვნელობას იძენს, ევროპელ სწავლულთა აზრით, წარსულს ჩაბარდა. ჩვენ კი განსხვავებულ რეალობაში ვცხოვრობთ და პოლიტიზებულ ქართველ მოსახლეობას ბუნებრივია, რომ პოლიტიზებული ემიგრაცია ეყოლება.

*პუბლიკაციის ავტორი ნიუიორკში მცხოვრები ბატონი* ***ზურაბ მჭედლიშვილი*** *თვლის, რომ საერთო განწყობილებას გამოხატავს:* ***„რა დაგვემართა, რა ღმერთი გაგვიწყრა, ეს რა ჯოჯოხეთია ჩვენს თავს, – ვეკითხებით ერთმანეთს და პასუხს კი არ ველოდებით, რადგან თავი დავირწმუნეთ, ყოველივე ეს უბედურებანი გარეშე ძალამ დაგვატეხაო, მაგრამ შინაგანი ხმა, სინდისის ხმა სხვას, ძნელად მოსასმენ სიმართლეს გვეუბნება და ჩვენი ვალია ყური მივუგდოთ ამ ხმას – რაც უნდა ძნელი იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ თავს დატეხილ უბედურებათა მიზეზი უწინარესად ჩვენ ვართ!“***

„ჩვენ“-ში ალბათ ოკეანის გაღმა მყოფი ქართველები ვიგულისხმებით და ოკეანის გაღმიდან, მაღალი ცივილიზაციის ციტადელიდან, შეგონებანი დღეს ხომ აუცილებლობას წარმოადგენს. მაგალითად ის, რომ ***„პოლიტიკური სპექტრი გაიტენა პატარ-პატარა და უბადრუკი „ტალეირანებით“ (კლასიკურ მაგალითად ოქრუაშვილი – პატარკაციშვილი – ზურაბიშვილი გამოდგებიან), რომლებიც უწინარესად საკუთარი ქმედებით (როცა ყველას და ყველაფერს ღალატობს) აჩქარებენ ქვეყნის მართლაცდა უფსკრულისკენ ვარდნას. იმავდროულად, მზად არიან, საჭირო დროს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კაცი დაადანაშაულონ და პირად ამბიციებზე მორგებული თავიანთი გამცემლური პოლიტიკა ამით გაამართლონ“..***

### მსოფლიოს 20 ქვეყანაში ერთი განსხვავებული აზრი არ აღმოჩნდა?



***„გაერთიანებულმა ოპოზიციამ შიდაპოლიტიკური ვითარება ისეთ ისტერიულ და შლეგურ კონდიციამდე მიიყვანა, თანაც სეპარატისტულ რეგიონებში მიმდინარე უკიდურესად საშიში პროცესების ფონზე, რომ თუ საქართველოს ახალი უბედურება დაატყდა თავს, მთელი ეს ოპოზიცია გაცილებით ადრე აღმოჩნდება საზოგადოების საბრალდებო სკამზე, ვიდრე ამ გარდაუვალ აქტს თავად ისტორია დასვამს დღის წესრიგში! ხოლო იმაში, რომ ამ ადამიანებს ისტორია გამოუტანს სასტიკ განაჩენს, მე პირადად ეჭვი არ მეპარება!“***

როგორც წერილიდან ვხედავთ, ავტორის ცნობიერებაზე წარუშლელი კვალი დაუმჩნევია საბჭოურ პათოსს და შესაბამის ტერმინოლოგიას: **„გამცემლური პოლიტიკა“, „საზოგადოების საბრალდებო სკამი“, „ისტორიის სასტიკი განაჩენი“, „მტრის წისქვილზე წყლის დასხმა“** და ა. შ. ამგვარი პროდუქტი ჩვენს თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში დიდი ხანია აღარ „იყიდება“.

მივყვეთ ავტორისეულ წიაღსვლებს: **„დაახლოებით ამას ვწერდი „თანამემამულის“ წინა ნომერში, როცა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი 7 ნოემბრის ამბები** (7 ნოემბრის ცემა-ტყეპამ, ხელკეტებმა და რეზინის ტყვიებმა ავტორის პათოსი ვერ დააგდო! ნ. ხ.ძ **ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმა და ნათესავმა მისაყვედურა კიდეც: რა დააშავა ამ ოპოზიციამ, ხალხისთვის სიკეთე უნდათ, სხვას რას მოითხოვენო?! სამწუხაროდ უნდა ვაღიარო ჩემი ახლობლების დილეტანტურობაც და არაშორსმჭვრეტელობაც, რადგან თეზისი „ხალხისთვის სიკეთე უნდათ“ დრომოჭმულია და დამპალი!“..**

***„ფუი, ასეთი ოპოზიციას და ასეთ „მამულიშვილობას“. გინდ გეწყინოთ, მაგრამ მე თქვენ სხვას ვერაფერს დაგარქმევთ, გარდა კრაზანებისა.***

***ფუტკრებადაც კი არ მემეტებით, რადგან ფუტკარი საქმეს მაინც აკეთებს. თქვენ კი იკბინებით. თქვენ უკვე იქამდეც გათავხედდით, რომ ერაყში მყოფ ქართველ ჯარისკაცებს ხმის უფლება ჩამოართვით. არჩევნების ვითომდა გაყალბებაზე მოსთქვამთ და ევროსაბჭოდან ჩამოსულ დამკვირვებლებს ამთავითვე უნდობლობას უცხადებთ! მაშ ვინ ხართ თქვენ, რა გინდათ?! თქვენივე თანამოაზრის, ცოტნე გამსახურდიას სიტყვებით გიპასუხებთ, ოღონდ რუსეთის სპეცსამსახურებისაგან განსხვავებულ კონტექსტში. ცოტნეს 2 ნოემბერს პარლამენტის შტურმით აღება სურდა და როცა ეს არ მოხდა, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა საკუთარი ძმა და სხვა ოპოზიციონერებიც. გახსოვთ მისი სიტყვები: „თქვენ გიჟები ხართ, ბიძია, ვიღაცა ხართ“... ჩემის მხრივ დავძენ, რომ დიახაც, მართლა გიჟები ხართ, ვიღაცა ხართ და დროა თავს უშველოთ!“***

* * *

ჩვენთვის სრულიად გასაგებია იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული ქალბატონ **მედეა თუშმალიშვილის** პოზიცია, როცა საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებელი ლოგიკით მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს.

ასევე გასაგებია ლოს-ანჟელესელი ბატონი **უშანგი რეჟინაშვილის** შეფასების კრიტერიუმიც: „მიხეილ სააკაშვილი არის ოთხწლიანი დაუღალავი შრომით დაბრძენებული პოლიტიკოსი, რომელიც ძალაუფლებას არ ებღაუჭება“.

ჩვენთვის ცოტა ძნელი გასაგებია ბატონ **ლევან ზურაბიშვილის** პოლიტიკური განცხადებები საკუთარი ოჯახის ფონზე. ასევე ძნელად გასაგები და მტკივნეულად უცხო და არაჩვეულებრივი იყო ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის რეპლიკა ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძის მისამართით, რაზეც მთელი თბილისი საუბრობდა მეორე დღეს...

გასაგებია ისიც, რომ საფრანგეთში მცხოვრებ ბატონ ოთარ პატარიძეს ეჩვენება, რომ ოპოზიცია საქართველოს დაანგრევს და როგორც თავად ბრძანებს, გულახდილად საუბრობს: „საქართველოს დანგრევა დაუფიქრებელი და აჩქარებული პროცესებით უაზროა და მეტად სახიფათო. არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ერთადერთი მიზანია, რომ პრეზიდენტი დავარდეს“...

მაგრამ სრულიად გაუგებარია „თანამემამულის“ სარედაქციო პოლიტიკა, როცა მათივე განცხადებით: **„მსოფლიოს 20 ქვეყანაში მოღვაწე ჩვენი კორესპონდენტები შეუფერადებლად ასახავენ ქართული ემიგრაციის ყოფას... „თანამემამულე“ არაპოლიტიკური ჟურნალია... ჩვენ ვაღიარებთ პრესის თავისუფლებას“...**

**ნუთუ ამგვარი ლოზუნგების თანახმად „ცენტრალურმა გამოცემამ“ „მსოფლიოს 20 ქვეყანაში“ ერთი განსხვავებული აზრის ადამიანი ვერ მონახა?**

ჩვენი აზრით, ცალმხრივი, ერთმნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში არაკვალიფიციური მხარდაჭერა ხელისუფლებისთვის დათვური სამსახური გახლავთ.

ჩანს, უცხოეთი შინაგანი თავისუფლების გარანტიას არ იძლევა. ამგვარ სწორხაზოვნებას პროფესიული იმიჯის პატივისცემის გამო არასდროს მიმართავს „სამთავრობოდ“ მიჩნეული

„ვიდრე არსებობს დრო, აუცილებლად მედროვეც იქნება, ისევე, როგორც მეცნიერი, ანდა მეთევზე... მე კი მხოლოდ წარმატება შემიძლია ვუსურვო ყველას, ვისი მოწოდებაც ცხოვრებაზე გამარჯვებაა. მთავარია, საზოგადოება იყოს მტკიცე. და იოლად არ იცვლიდეს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ აზრს“

თუნდაც გაზეთი **„24 საათი“** ან თუნდაც, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ — **„რუსთავი-2“**. ნუთუ ჩვენთან მეტია მედიის თავისუფლება და ჟურნალისტის მუნდირის პატივისცემა?

ზოგიერთი რამ, რაც ჟურნალისტიკას, როგორც ხელოვნებას და როგორც ხელობას ეხება, სასურველი იქნება უცხოეთში გამომავალმა ქართულენოვანმა პერიოდიკამაც გაითვალისწინოს.

„თანამემამულის“ ფურცლებზე გიორგი კაჭარავას „ბრაზილიურ დღიურში“, პროფესიონალი ქართველი ჟურნალისტის **პაატა ნაცვლიშვილის** ფოტოს წავაწყდით. იქნებ გამოიყენონ ეს კონტაქტები. პაატა ნაცვლიშვილის კონსულტაციები და მასტერკლასები მათ ტექსტებს, რუბრიკებს თუ დიზაინს, ანუ ე. წ. „ცენტრალურ გამოცემას“ პროფესიულ სახეს მისცემს.

* * *

გვახსოვს ის დრო, როცა ოკეანის გაღმა არსებული სამყარო თუ ევროპა, სწორედ აზრის გამოთქმის თავისუფლებისთვის განსაკუთრებული ოაზისივით გვიზიდავდა. ჩვენი სულიერი ამბოხიც სწორედ იმ ღია სივრცეს, „რკინის ფარდის“ მიღმა არსებულ თავისუფლებას უკავშირდებოდა.

უშიშროების სამსახური რადიოსადგურებზე საგულდაგულოდ ახშობდა იმ სამყაროდან ჰაერივით შემოსულ „თავისუფლების ხმას“. დაძაბულები ვუსმენდით პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ინფორმაციებს თუ მუსიკალური მიმომხილველის ლუის კონოვერის საუბრებს ჯაზზე, როგორც თავისუფალი აზროვნების ფორმას, ადამიანის ინდივიდუალობის გამოხატვის მრავალფეროვნებას...

ძვირფასო თანამემამულენო, ემიგრანტებო! ცხადია, კარგად იცით და როცა სამშობლოში ჩამოდიხართ, სახიერად გრძნობთ, როგორი ემოციურია „აქ დარჩენილთა“ დამოკიდებულება თქვენდამი... იქნებ ამიტომაც ვერ ვეგუებით თქვენთან დაკავშირებული ილუზიების მსხვრევას, ვერც კონიუნქტურისადმი აშკარა მორჩილებას, ვერც მედროვეობის დამანგრეველ სენს.

ჩვენი თანამედროვე კლასიკოსი მწერალი **ოთარ ჭილაძე** წერს: **„ვიდრე არსებობს დრო, აუცილებლად მედროვეც იქნება, ისევე, როგორც მეცნიერი, ანდა მეთევზე... მე კი მხოლოდ წარმატება შემიძლია ვუსურვო ყველას, ვისი მოწოდებაც ცხოვრებაზე გამარჯვებაა. მთავარია, საზოგადოება იყოს მტკიცე. და იოლად არ იცვლიდეს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ აზრს“.**

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამომავალ გაზეთში **„ახალი ივერია“** (რედაქტორი **ჯიმშერ ბედინეიშვილი**) რედკოლეგიაში პირველ ნომრად ჩვენი პრეზიდენტის დედა ქალბატონი **გიული ალასანია** წერია.

ვფიქრობთ, არც ამ სვლაში უნდა იყოს ძალიან სწორი ტაქტიკა...

მცირე გადახვევა: გასულ წელს, სამეგრელოს არისტოკრატიის ისტორიაზე მუშაობის დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენი თემისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან, ღირებულ ინფორმაციებს და მეცნიერულ ვარაუდებს მივაგენით გამოკვლევაში: **„შრომები წერილობით წყაროთა ინტერპრეტაციისთვის (დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმის განმარტება თურქულ წერილობით ძეგლებში)“**, რისი ავტორიც ქალბატონი გიული ალასანია გახლავთ.

ჩვენივე თემის საზიანოდ, გასაგებ მიზეზთა გამო, ავტორის ციტირებას მოვერიდეთ, რაც ალბათ, ასევე მეორე უკიდურესობაა და პოლიტიზებისგან თავის დაღწევის ნაკლებად გამართლებული მცდელობა... უბრალოდ, ჩვენ ასე ვარჩიეთ...

* * *

ევროპული აზროვნების ერთ-ერთი მარად თანამედროვე სახე, პოლ ვალერი წერდა: **„აი, რა არის მდაბალი პოლიტიკაში: ორაზროვნება სიტყვებისა და მოძღვრებებისა, რომელზედაც ვერასოდეს ვერ იტყვი დაბეჯითებით — ჭეშმარიტებას მიელტვიან, კერძო ინტერესებით არიან ნაკარნახევი თუ გრძნობებით განპირობებული? ან კიდევ — მართალნი არიან ეს გრძნობანი თუ ყალბი?“**

პოლიტიკოსთავის ჩვეულია გრძნობების ეგზალტაციით თამაში, რაც მასებს, უმეტეს შემთხვევაში, რევოლუციებისა და ნგრევებისთვის განაწყობს.

ინდივიდები კი ფიქრობენ, აანალიზებენ, წუხან, იმედოვნებენ, ალტერნატივებს ეძებენ და ზოგჯერ პოულობენ კიდეც...

ნუთუ ხელისუფლების სასარგებლოდ განგვაწყობს ე. წ. „ცენტრალური გამოცემა“ „თანამემამულე“, რომელიც ოპოზიციის საწინააღმდეგოდ ამგვარ „არგუმენტებს“ და „განსჯას“ გვთავაზობს: ***„ღმერთო, მაინცდამაინც უცხოელმა უნდა უთხრას და დაანახოს ქართველ კაცს მთელი სიმართლე, რომ მან ტვინით იაზროვნოს და არა უკანალით?“***

* * *

უცხოეთში გადახვეწილო, მსგავსი ტექსტების უნებურად წამკითხველო, ჩვენო თანამემამულენო!

იქნებ ერთად ვეძებოთ თქვენი აქამდე არდაბრუნების მიზეზები? თუ რატომ არ გაგაჩნიათ, ოთარ ჭილაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„უკან დაბრუნების მოურეველი სურვილი?“**

ფაქტია, ემიგრაცია მხოლოდ ადგილმონაცვლეობა არ არის, ურთულეს ლაბირინთებში შესვლაცაა, როცა მშობლიური სივრცის გარეშე რჩები... ალბათ ამ ყველაფერს უმწეობის განცდაც ახლავს...

თანამედროვე ემიგრაცია, ვფიქრობთ, არანაკლებ ტრაგიკულია, ვიდრე 20-იანი წლების პოლიტიკური ემიგრაცია, რომელიც არა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ იდეებით ანთებული და სულიერად მობილიზებული, თავისი სამშობლოს ტერიტორიისთვის, პიროვნების თუ სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძოდა...

თანამედროვე ემიგრანტებმა კი უკვე ნახეს დე იურედ თავისუფალი საქართველოს ნაღვლიანი სახე და ისიც ნახეს როგორ იყიდება მათი ქვეყანა...

თანამედროვე ემიგრანტს აღარ გააჩნია სამშობლოს განთავისუფლების ნეტარი მოლოდინი და როგორც ჩანს, იმ სამწუხარო დისტანციიდან ვეღარ ხედავს სწორ გამოსავალს.

**„მეორე სამშობლო“** ეს მხოლოდ შვების მომგვრელი სიტყვათა თამაშია. **„მეორე“** არ არსებობს. ამიტომ ემიგრაციის პოლიტიზება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ამჟამად მხოლოდ გამოხატვის ფორმებზე ვსაუბრობთ.

იმედს ვიტოვებთ, რომ მალე, „აქაც“ და „იქაც“, წავიკითხავთ სანუგეშო ამბებს ჩვენი საერთო სამშობლოს შესახებ და ერთ-ერთ ყველაზე მაღალ, გადამწყვეტ და მნიშვნელოვან ხმას სწორედ ქართული ემიგრაციისგან გავიგებთ.

**ნინო ხოფერია**

# ქართული ალბომი



**იგი უნივერსიტეტის სხვა პროფესორებთან ერთად გარიცხეს, გაასამართლეს და მაშინ ესოდენ გავრცელებული „ხალხის მტრის“ იარლიყით, სამუდამოდ გადაასახლეს.**

ეს გიორგი ზანდუკელის ბიოგრაფიის ნაწილია და გაოცებას იწვევს არა ის, თუ რატომ ეწოდა „ხალხის მტერი“ (ამ ეპითეტით ქართული მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენლებს ამკობდნენძ, არამედ ის, რომ ამდენი გაცდენილი წლის შემდგომ როდისღა მოასწრო თავისი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა.

ჩრდილოეთ ყაზახეთის პატიმართა ბანაკებში, გაუსაძლის ყოფაში, არასოდეს დაუკარგავს ახლობლებისადმი პასუხისმგებლობა, მათი გახსენების სურვილი...

„მიხეილ ზანდუკელის პირადი წერილები გამორჩეულია უშუალობითა და სიფაქიზით — წერს ნოდარ ტაბიძე — სხვათა შორის, ზოგიერთი გამორჩენილი პიროვნება ბარათების წერისას იმასაც ითვალისწინებს, რომ შეიძლება მისი ეპისტოლე ფართო საზოგადოების დაკვირვების საგანი გახდეს. ამიტომაც ჩნდება ორმისამართიანობა, რაც სტილის უკიდურეს დახვეწილობაში როდი მჟღავნდება მხოლოდ... მიხეილ ზანდუკელის ბარათებში ეს გამორიცხულია...

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი დამრიგებლურ ტონში ჩაქსოვილი სიყვარული მჟღავნდება, პირდაპირ, ყოველგვარი მანერულობის გარეშე. გათვალისწინებულია ადრესატთა ასაკიც“...

***ჩემო ძვირფასო გოგონებო — ფიქრია და მაყვალა!***

***რატომ აღარ მომწერეთ წერილები? შემატყობინეთ თქვენი ამბავი: როგორ ხართ, როგორ სწავლობთ, როგორ იქცევით. მე იმედი მაქვს, თქვენ კარგი ბავშვები იქნებით ახლაც. ეცდებით ყოველი კარგი აითვისოთ, ყოველ ცუდს მოერიდოთ. დედის ხათრი და სიყვარული გექნებათ. დედას ყველაფერს გაუგონებთ და დაეხმარებით, რომ სანამ მე დავბრუნდები, გაჭირვებული ცხოვრება ადვილად გადაატანინოთ. მამიდების დარიგება ყოველთვის მიიღეთ. თუ რამე დაგჭირდებათ, მამიდებს უთხარით, ნუ მოერიდებით და ისინიც, რაც კი შეეძლებათ, დაგეხმარებიან. დედას უთხარით ჩემს მაგიერ (ორი წერილი მოვწერე, ალბათ, არ მიუღია). გულს ნუ გაიტეხს. აიტანოს გონივრულად ეს გაჭირვებული დრო, სანამ მე მოვალ და მოვეშველები თქვენს გაზრდაში. ეცადეთ გულმოდგინეთ ისწავლოთ, წიგნები იკითხოთ, შრომა გიყვარდეთ და წესიერად მოიქეცით ყველგან და ყველასთან. ხშირად გადით ხოლმე მამიდებთან.***

***იყავით კარგად, ძალიან კარგად, ჩემო კარგებო.***

***გკოცნით ბევრს,***

***თქვენი ძია.***

***11/X.44 წ.***

***ჩრდილოეთ ყაზახსტანი, ჩკალოვის რაიონი,***

***სოფელი ჩკალოვო.***



ფიქრია ზანდუკელი

***ჩემო ძვირფასო გოგონებო — ფიქრია და მაყვალა!***

***გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველთვის კარგს, ჩემო კარგებო. იყავით ჭკვიანი, პატიოსანი, მშრომელი ადამიანები. ისწავლეთ ყოველივე კარგი.***

***ეცადეთ, ცხოვრებაში გამარჯვებულნი გამოხვიდეთ. იცოდეთ პატიოსანი შრომა, სწავლა. კარგი ადამიანობა გაგამარჯვებინებთ ცხოვრებაში. უჩემობა არ შეიმჩნიოთ. უფრო კარგად იყავით, ვიდრე ჩემთან ყოფნის დროს, რითაც ძალიან გამახარებთ. აბა, თქვენ იცით, როცა გნახავთ, მაშინ მეტყვით, რამდენად შეასრულეთ ჩემი სურვილი.***

***გ კ ო ც ნ ი თ ბევრს,***

***თქვენი ძია.***

***6-9/III.46 წ.***

***სოფელი ჩკალოვო.***

* * *

***ფრაგმენტი ინტერვიუდან***

**კორესპონდენტი:** თქვენი ბიძა მიხეილ ზანდუკელი, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი, თქვენს აღზრდაში აქტიურად მონაწილეობდა?

**ფიქრია ზანდუკელი:** აქტიურ აღზრდაში შეიძლება გარეშე პიროვნებამაც მიიღოს მონაწილეობა. მიხეილ ზანდუკელი კი ჩემთვის ღვიძლზე ღვიძლია, მამაცაა და პაპაც. ჩვენ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, ერთნაირად ვსუნთქავდით და იგი ცდილობდა მოვლენების აღქმა და შეფასებაც ერთნაირი გვქონოდა. არათუ დრო და დრო, არამედ ყოველდღიურად განვიცდიდი მის უდიდეს ზეგავლენას. **ბედნიერი ვარ, რომ ჩემი და ჩემი დის ხელებში დახუჭა თვალი...**




№ 64. შაბათი, 5 აპრილი, 2008 წელი.

საქართველოსა და უკრაინის შესახებ საკითხის გარდა ბუქარესტში განიხილებოდა ალიანსში მაკედონიის, ალბანეთისა და ხორვატიის შესვლის საკითხი. ბოლო ორმა ქვეყანამ მიიღო მწვანე შუქი, ხოლო მაკედონიის წინ კარები დაიკეტა, რამაც მეტად გააღიზიანა ბალკანელები




რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# როგორია აღმოსავლეთისკენ ნატოს შემდგომი გაფართოების შესაძლო შედეგები?

**ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი 26 ქვეყნის ხელმძღვანელები გუშინ საღამოს შეიკრიბნენ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში სამიტზე, რომელიც, მრავალთა შეფასებით, შეიძლება გახდეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მისი 59 წლის ისტორიაში. სამიტი დამთავრდება უკრაინის პრეზიდენტის იუშჩენკოსა და რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ცალკეული შეხვედრების შემდეგ — ნატოს სამიტის ისტორიაში პირველად იქნა მოწვეული რუსეთის ლიდერი.**

რუმინეთი გახდა ალიანსის სრულუფლებიანი წევრი 2004 წელს ნატოს გაფართოების უკანასკნელი რაუნდის მსვლელობის დროს ბალტიისპირა რესპუბლიკის სახელმწიფოებთან — ბულგარეთთან, სლოვაკიასთან და სლოვენიასთან ერთად. ნატოს აქვს ტრადიცია მოაწყოს სამიტები და შეხვედრები მინისტრების დონეზე ცოტა ხნის წინათ მიღებული ქვეყნების დედაქალაქებში; ბოლო სამიტი — 2006 წელს — გაიმართა ლატვიის დედაქალაქ რიგაში.

უკვე მრავალი წელია ალიანსი არ შეხვედრია ასეთ სირთულეებს, მათ კი ასახავს ბუქარესტის დღის წესრიგის თითოეული პუნქტი. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ყველაზე მეტი უთანხმოება იქნებოდა ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით. აქ ნატოს დიდად არ ულხინს. თალიბებმა კვლავ დაიწყეს თავიანთი თავის გამოჩენა, ყაყაჩოს მოსავალმა მიაღწია რეკორდულ დონეს, ხოლო ნატოს მისია, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ომისშემდგომ რეკონსტრუქციასა და განვითარებას, ამჟამად უსათუოდ ითვალისწინებს სამხედრო მოქმედებებს, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მაინც. ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად უკმაყოფილებას წააწყდნენ გერმანიასთან იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს არ სურს გამოუყოს დამატებითი ძალები და განათავსოს ჯარები ქვეყნის შედარებით მშვიდი ჩრდილოეთის ნაწილის გარდა. მაგრამ სხვა ქვეყნებიც ნეგატიურად უყურებენ ავღანეთში ჯარების გაგზავნას ან მათი კონტინგენტის გაზრდას თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრიობის უკმაყოფილების გამო.

ეს იქნება არა მხოლოდ ერთადერთი პრობლემური საკითხი, არამედ მან შესაძლოა გამოიწვიოს აზრთა ნაკლები სხვადასხვაობა. ლონდონში თავისი უკანასკნელი ვიზიტის დროს საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ შესთავაზა გაეგზავნათ ავღანეთში კიდევ ათასი ფრანგი სამხედრო მოსამსახურე. მას წარმოექმნა პრობლემები სოციალისტურ ოპოზიციასთან იმის გამო, რომ ამ გადაწყვეტილების შესახებ განცხადება გაკეთდა საზღვარგარეთ და არა საფრანგეთის პარლამენტში, მაგრამ ამ წინადადებამ ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელებას ბუქარესტში.

ახლა, ეტყობა, რომ „ყველაზე სადავო“ საკითხის ადგილს დაიკავებს შემდგომი გაფართოების გეგმები. ჯორჯ ბუში არ მალავს თავის სურვილს მიაღწიოს, რომ ამ სამიტზე უკრაინისა და საქართველოსთვის გაიხსნას პირველი ეტაპი ნატოში შესვლის განცხადებასთან დაკავშირებით. მისი ვიზიტი კიევში სამიტის წინა დღეს სწორედ ამის სიგნალს იძლეოდა. როგორც ეტყობა, ბრიტანეთი იზიარებს ბუშის ენთუზიაზმს, მაგრამ ურჩევნია ამის შესახებ არ ილაპარაკოს.

მაგრამ სხვა ქვეყნები სულაც არ იზიარებენ ბუშის ამბიციებს. ეჭვი აქვთ საფრანგეთსა და გერმანიას. ერთი მხრივ, მათ ეშინიათ ნატოს შემდგომი შესუსტება იმ შემთხვევაში, თუ იგი გაფართოვდება მეტად სწრაფად. მეორე მხრივ, მათ აღელვებთ ის, რომ ალიანსში უკრაინის მიღება გამოიწვევს რუსეთთან ურთიერთობის გართულებას. მეორეხარისხოვანი საკითხი — ყოველ შემთხვევაში ნატოსთვის — ესაა თვით უკრაინაში ნატოში შესვლის შესახებ იდეის მხარდაუჭერლობა.

ორივე დავას ავღანეთში ჯარების რაოდენობისა და გაფართოების შესახებ თან ახლავს არა მხოლოდ მინიშნება ამერიკის პრიორიტეტების შესახებ ევროპაში. ისინი სხვადასხვა აზრისანი არიან თავდაცვის სიდიდისა და რისკის შესახებ და მიუთითებენ, რომ ევროპის მიდგომა ხშირად ნაკლებად იდეოლოგიზირებულია. მაგალითად, გაფართოება განიხილება, როგორც პრაქტიკული მოგება და არა ყოვლისმომცველი ხედვა „დასავლეთისა“.

მაგრამ ევროპაშიც არის უთანხმოებანი, რომლებიც მიუთითებენ ირანის გამო ძველი და ახალი ევროპული განხეთქილების შესახებ. მთავარი მათგანი — ესაა პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების განლაგების ამერიკული გეგმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამის ფარგლებში. დღემდე ამ ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ორმხრივ მოლაპარაკებას ნატოსთვის გვერდის ავლით.

ხორვატია და ალბანეთიც ისწრაფვიან ნატოსკენ და, ალბათ, მათი კანდიდატურის წინააღმდეგ არავინ არ იქნება. იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიასაც უნდა მოხვდეს ალიანსის პირველ საფეხურზე. დაბრკოლება შეიძლება გახდეს საბერძნეთი — არა გეოსტრატეგიული მოსაზრებებით, არამედ იმის გამო, რომ მას არ სურს, მაკედონიამ შეიცვალოს თავისი სახელწოდება ისე, რომ არ გამოიწვიოს ეჭვი, თითქოს იგი პრეტენზიას აცხადებდეს საბერძნეთის მაკედონიაზე. იმ სირთულეებთან შედარებით, რომლებიც დაკავშირებულია უკრაინისა და საქართველოს მიღებასთან, ეს მეტად უბრალო საკითხად გამოიყურება.

სარკოზიმ განაცხადა სურვილი, კვლავ შეეყვანათ საფრანგეთი ნატოს სამხედრო სარდლობის სტრუქტურაში ორმოცწლიანი შესვენების შემდეგ. ამას შეეძლო გაეძლიერებინა ნატო და მისი სიმჭიდროვე. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის აღფრთოვანება ამ პერსპექტივასთან შედარებით ნაკლებად მოსალოდნელია.

ამას გარდა, როგორც ჩანს, ბოლო ელება კვიპროსის გათიშვას. მაშინ თავიდან იქნება აცილებული დაძაბულობის მთავარი წყარო თურქეთსა და საბერძნეთს შორის — ეს ხელს შეუწყობდა ალიანსის ერთობას.

ალბათ, ნატო მსოფლიოში იდეალურად მიიჩნევდა 1991 წელს მიღწეულ გამარჯვებას, როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი და მან საზეიმოდ თვითდაშლა გამოაცხადა. ახალ ალიანსს ახალი ამოცანებით შეეძლო გაეფრთხილებინა რუსეთის ზოგიერთი უარყოფითი განცხადება. მაგრამ იმ დროისთვის დასავლეთის ლიდერებს ჰქონდათ უფრო არსებითი საზრუნავი, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები კი ხმამაღლა მოითხოვდნენ თავიანთ შეყვანას ალიანსში. ნატომ გაუძლო, თუმცა, მისი კომპეტენციები შეიცვალა — და მნიშვნელოვნად გაფართოვდა კიდეც.

ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით ნატომ შექმნა საბჭო — რუსეთი-ნატო. მაგრამ ამ მექანიზმმა მაინც ვერ გაფანტა მრავალრიცხოვანი ეჭვები ერთმანეთის მიმართ. ეს სხდომა გაიმართება პუტინის მონაწილეობით. ალბათ, ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ ორივე მხარე აღიარებს საფრთხეს და სურთ, თუ ეს შესაძლებელია, მიაღწიონ ურთიერთგაგებას.

**მერი დეჟევსკი**

THE INDEPENDENT

**ბუქარესტში ნატოს სამიტზე დამთავრდა კუნთების გლობალური თამაში: ალიანსის პროგრამასთან შეერთების დავაში უკრაინისა და საქართველოს მიღების შესახებ გაიმარჯვა „ძველმა“ ევროპამ, საქართველომ კი შეძლო ბორტს მიღმა დაეტოვებინა მაკედონია. ორივე გადაწყვეტილებამ უამრავი ემოცია გამოიწვია: პირველად მრავალი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები გახდა საფრანგეთსა და გერმანიაზე უფრო სუსტი, რომელთა ინტერესები მყარად ემთხვეოდა რუსეთის პოზიციას.**

# უკრაინას და საქართველოს მოცდა სთხოვეს

რაც შეეხება მაკედონიას, ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა ნატოს გადაწყვეტილება შეაფასეს, როგორც საფრთხე მთელი ბალკანეთის რეგიონის უსაფრთხოებისთვის, რომლის გადასარჩენადაც თავად ალიანსმა დახარჯა უამრავი ფული და ადამიანური რესურსები.

განსაკუთრებული უწოდა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ბუქარესტის სამიტს. ძნელია არ დაეთანხმო მას, ვინაიდან ალიანსის მონაწილე ქვეყნების მთავარი შეხვედრა დიდი ხანია ასეთი გამაწბილებელი არ გამხდარა. ამის ნათელი მაგალითია ალიანსის წევრი ქვეყნების უარი შეეერთებინათ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრობის მოქმედების გეგმასთან. განსაკუთრებით გასაოცარია ის, რომ ორივე პოსტსაბჭოურ ქვეყანას მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები. ჯერ კიდევ დილით არაოფიციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ ბუში არ აპირებდა პოზიციების დათმობას, და მიუხედავად გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობისა, მზად იყო ებრძოლა დასავლეთ ევროპისათვის ბოლომდე. დისკუსია მთელი საათი გაჭიანურდა, ხოლო ეკრანებზე, რომლებიც გადმოსცემდნენ სხდომას პრეს-ცენტრში, აშკარად ჩანდა, როგორი მოღუშული სახეებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ამერიკის შეერთებული შტატებისა და აღმოსავლეთ ქვეყნების დამკვირვებლები.



თუ სარკოზმა ჟურნალისტების შეკითხვას უპასუხა ქედმაღლურად, ლატვიის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი, რომელიც დისკუსიის სხვა შედეგს ელოდა, პრესის წარმომადგენლებთან გამოვიდა დათრგუნული განწყობილებით. მაგრამ დამარცხება მაინც არ აღიარა: რაც არ უნდა იყოს, ორივე ქვეყანამ მიიღო დაპირება. „უკრაინამ და საქართველომ უნდა დაიწყონ მუშაობა“, — ასეთი კომენტარი გაუკეთა ზატლერსმა სიტუაციას. ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა მარის რიეკსტინშმა აღნიშნა: „უკრაინის მოსახლეობის მხარდაჭერა ნატოში ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით დამოკიდებულია იმაზე, რამდენად რეალურია ეს ინტეგრაცია. გაიხსენეთ ხორვატია: ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მისი მოსახლეობა ნეგატიურად იყო განწყობილი ამ საკითხისადმი. იმედია, გუშინდელი გადაწყვეტილება უკრაინის საზოგადოებრივ აზრზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს“.

რაც შეეხება თავად „ზეიმის დამნაშავეებს“, ისინი უარს თავდაჭერილად მოეკიდნენ. მაგალითად, საქართველომ ძირითადად მიიჩნია განცხადების ის ნაწილი, რომელშიც ნათქვამი იყო ქვეყნის ნატოში პოტენციურ შესვლაზე. „ჩვენ, რასაკვირველია, ველოდებოდით წევრობის მოქმედების გეგმასთან შეერთებას, — უთხრა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ბაქრაძემ. — მაგრამ მივიღეთ აშკარა სიგნალი იმისა, რომ საქართველო და უკრაინა შევლენ ალიანსის შემადგენლობაში. ამჟამად არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ საქართველო აღმოჩნდება რომელიმე მესამე ქვეყნის გავლენის სფეროში“.

რაც შეეხება ამ „მესამე ქვეყნებს“, მათი პოზიცია, უნდა ითქვას, შეიძლება მოვისმინოთ უკვე დღესვე: სწორედ პარასკევს ბუქარესტში დანიშნულია რუსეთ-ნატოს სესია. კულუარებში საუბრობენ, რომ მოსალოდნელია ხმაურიანი სკანდალი: ვინაიდან გუშინ მიღებული ფორმულირება ხელს არ აძლევს რუსეთს.

საქართველოსა და უკრაინის შესახებ საკითხის გარდა ბუქარესტში განიხილებოდა ალიანსში მაკედონიის, ალბანეთისა და ხორვატიის შესვლის საკითხი. ბოლო ორმა ქვეყანამ მიიღო მწვანე შუქი, ხოლო მაკედონიის წინ კარები დაიკეტა, რამაც მეტად გააღიზიანა ბალკანელები. „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მაკედონია მიიღებს ნატოში მიწვევას მაშინვე, როგორც კი გადაწყდება მისი სახელწოდების საკითხი“, — თქვა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა პრესკონფერენციაზე. სხვათა შორის, მოხსენების წაკითხვის დროს სხეფერს ბოლო მომენტამდე არ დაუსახელებია ქვეყნის სახელწოდება და შემოიფარგლებოდა ზოგადი ფორმულირებებით. მაგრამ, როგორც კი გენერალურმა მდივანმა გამოაცხადა გადაწყვეტილება აშკარად და ნათლად, დარბაზი დატოვა მაკედონელი ჟურნალისტების დელეგაციამ. ხოლო იმ ორიოდე კაცმა, რომლებიც დარჩნენ დარბაზში, ეს გააკეთა იმისათვის, რომ გამოეთქვა ალიანსის ხელმძღვანელებისთვის, თუ რას ფიქრობდნენ მასზე. ვერ შეიკავეს თავი ემოციებისგან მაკედონიის ოფიციალურმა პირებმაც. რეგიონში დესტაბილიზაციის სიტუაციის რისკი — ეს საბერძნეთის სრული პასუხისმგებლობაა“, — განაცხადა მაკედონიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანტონიო მილოსოვსკიმ.

**ოქსანა ანტონენკო**

The Daily Telegraph

№ 64. შაბათი, 5 აპრილი, 2008 წელი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბუქარესტში მიღებული იქნა „ისტორიული გადაწყვეტილება“



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „გეოპოლიტიკური გადატრიალება“ თუ საქართველოს დასჯა?

**ბუქარესტში ნატოს სამიტის გადაწყვეტილებამ, გადაედოთ საქართველოსა და უკრაინისათვის უფლება ალიანსში წევრობისთვის მოქმედებათა გეგმასთან შეერთების შესახებ მიმდინარე წლის დეკემბრისთვის, საქართველოს პოლიტიკურ წრეებში გამოიწვია არაერთგვაროვანი რეაქცია.**

ხელისუფლებას ეს გადაწყვეტილება მიაჩნია გამარჯვებად, ოპოზიციას – დამარცხებად. პოლიტოლოგები კი გვთავაზობენ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. მთავრობის წარმომადგენლები გვარწმუნებენ, რომ ეს გადადება ფაქტობრივად არაფერს არ ცვლის – საქართველო ადრე თუ გვიან მაინც გახდება ალიანსის წევრი, და ამის შესახებ აშკარად აცხადებენ კიდეც.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბუქარესტში მიღებული იქნა „ისტორიული გადაწყვეტილება“. „მიმდინარეობდა სერიოზული ბრძოლა ორ სკეპტიკურ ქვეყანასა და 20-ზე მეტ მოტივირებულ სახელმწიფოს შორის, მათ შორის, პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებს შორის“, – თქვა მან.

„მაგრამ რუბიკონი გადალახულია. ჩვენ მივიღეთ უფრო მეტი, ვიდრე წევრობისთვის მოქმედების გეგმა – ჩვენ მივიღეთ მტკიცე რწმუნებანი, რომ აუცილებლად გავხდებით ალიანსის წევრები. ესაა პირდაპირი ვალდებულებანი... ესაა პირდაპირი დაპირება ალიანსის მხრიდან, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ შევალთ ალიანსში ჩემი პრეზიდენტობის ვადის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე“, – განუცხადა სააკაშვილმა ქართველ ჟურნალისტებს რუმინეთის დედაქალაქში.

„საიდუმლო როდია, რომ ერთმა ქვეყანამ, რომელიც არ მონაწილეობდა ამ დისკუსიებში, ყველაფერი გააკეთა, რათა ეს დოკუმენტი არ ყოფილიყო მიღებული: დაწყებული პირდაპირი შანტაჟით, დაშინებით, დაპირებებითა და კონკრეტული მოქმედებებით და დამთავრებული სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით“, – აღნიშნა პრეზიდენტმა, რითაც მიუთითებდა რუსეთზე და დაუმატა, რომ ამ „ისტორიულ დღეს“ რეგიონში მოხდა გეოპოლიტიკური გადატრიალება.

ამასთან ერთად ზოგიერთ პოლიტიკოსს ხელმძღვანელი პარტიიდან მიაჩნია, რომ საქართველოს მოქმედებათა გეგმისაგან გადავადება ნატოში წევრობასთან დაკავშირებით – ესაა რუსეთის აშკარა გამარჯვება.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე მიიჩნევს, რომ „რუსეთმა ამჯერად დაძლია ევროპას, აიძულა იგი უარი ეთქვა იმ პრინციპებზე, რომლებზეც ევროპაა დამყარებული, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპას შანტაჟი მოუწყო“.

საქართველოს ტელეარხმა „მზემ“ სამიტის გადაწყვეტილება მიიჩნია ფაქტობრივად, ახალ ალიანსად მოსკოვი-პარიზი-ბერლინი. ქართულმა ოპოზიციამ თითქმის ერთმნიშვნელოვნად შეაფასა ნატოს სამიტის გადაწყვეტილება, როგორც ქართული დიპლომატიის კრახი. ბევრ ლიდერს მიაჩნია, რომ ევროპამ დასაჯა საქართველო შარშანდელი ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის დარბევისა და საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიცირების გამო, რომელიც წელს იანვარში გაიმართა. საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი გადაიდო შარშან 7 ნოემბრის ამბების გამო, მიაჩნია „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს დავით ბერძენიშვილს, აგრეთვე იმიტომაც, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე არის გადაუჭრელი კონფლიქტები და ადგილი აქვს პოლიტიკურ რეპრესიებს“.

მის თანამებრძოლს პარტიიდან ივლიანე ხაინდრავას მაგალითად მოჰყავს თავისი საუბარი ბუნდესტაგის დეპუტატთან, რომელმაც ქვეყნის სიტუაციის შეფასებისას განაცხადა, რომ „საქართველოს კონსტიტუცია ისე ხშირად იცვლება, როგორც მენიუ რესტორნებში“.

საქართველოს „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი სოსო შატბერაშვილი მიუთითებს, რომ ევროპის ქვეყნები საქართველოს უყურებენ „გამადიდებელი შუშით“, ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს იმას, თუ რა ხდება ქვეყანაში, ამიტომ „კარგად მოიფიქრებენ, სანამ გამოიტანდნენ დადებით გადაწყვეტილებას მიმდინარე წლის დეკემბერში“. ამ გადაწყვეტილებაში ლეიბორისტს ეჭვი შეაქვს, ვინაიდან არ სწამს ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულობა, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს.

ამავე დროს ქართველი პოლიტოლოგები ასევე არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ სამიტის გადაწყვეტილებას და საქართველოს პერსპექტივებს ალიანსში შესვლის საკითხთან დაკავშირებით.

პოლიტოლოგი შალვა ფიჩხაძე – არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო ნატოში“ ხელმძღვანელი – ჯერ კიდევ სამიტის წინა დღეს აღნიშნავდა, რომ ალიანსის ხელმძღვანელობამ შეიძლება მიილოს რაიმე შუალედური სტატუსი საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებით, ალბათ, „ორივე ქვეყანასთან ინტენსიური ურთიერთმოქმედების პერიოდში უმაღლეს დონეზე“, რის შესახებაც თავის გამოსვლაში თქვა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა, და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ასეც განმარტავს იგი ამ საკითხს.

„ევროპის პოზიცია საქართველოს გადაყვანის შესახებ ნატოს წევრობისთვის მოქმედების გეგმაზე შემდგომში დამოკიდებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ახალ ხელისუფლებათა პოლიტიკაზე და საქართველოს იმიჯზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ“, – მიაჩნია პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს.

„ევროპამ ჯერ არ იცის, როგორი იქნება ამერიკა და როგორი რუსეთი და, ალბათ, მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებისა და რუსეთის ახალი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის პოლიტიკის უფრო მკაფიო გამოვლენის შემდეგ“, – აღნიშნავს ანალიტიკოსი. ამავე დროს მას მიაჩნია, რომ საქართველოსთვის უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ მან ზეგავლენა მოახდინოს მმართველი პარტიის იმიჯზე. საქართველოს სამხედრო ექსპერტები ძირითადად უკმაყოფილონი არიან ნატოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. „თუ სიტუაცია კონფლიქტურ რეგიონებში გართულდება, პასუხისმგებლობას ამისთვის მე პირადად ვაკისრებ იმ ქვეყნებს, რომლებმაც დღეს უარი უთხრეს საქართველოს სამოქმედო გეგმაზე გადასვლის საკითხში, ვინაიდან ამ შემთხვევაში უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში პირველად რუსეთი გამოვიდა გამარჯვებული ნატოსთან ბრძოლაში“, – ამბობს სამხედრო ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი. ამასთან ერთად ის მიუთითებს მთელ რიგ შეცდომებსაც, რომლებიც დაუშვა თავად საქართველომ, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობაში.

მისი კოლეგა სამხედრო ანალიტიკოსი კობა ლიკლიკაძე ასევე უკმაყოფილოა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მიაჩნია, რომ საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობას ისევე, როგორც ნატო იმსახურებს საქართველოს წევრობას ალიანსში.

**ქეთი ბოჭორიშვილი**

BBC RUSSIAN.com

# ნატომ თავის დიდ ისტორიას უღალატა

**ერნესტ ბევინი ხელშეკრულებას ნატოს შექმნის შესახებ უწოდებდა „იმის მცდელობას, რომ ქაღალდზე აისახოს ჩვენი საფუძვლიანი მისწრაფება შევინარჩუნოთ საკუთარი სახე“. საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სწორი იყო. ალიანსმა დაადასტურა, რომ არის ყველაზე წარმატებული გამათავისუფლებელი მოძრაობა ისტორიაში.**

მაგრამ გუშინ ალიანსის ისტორიას ჩრდილი მიაყენეს. ნატოს წევრებმა, რომლებიც ბუქარესტში შეიკრიბნენ, წაართვეს საქართველოსა და უკრაინას შესაძლებლობა გაეკეთებინათ პირველი ნაბიჯები ალიანსში შესვლის გზაზე. ეს უდიდესი დიპლომატიური წარმატებაა პრეზიდენტ პუტინისა. უკრაინამ და საქართველომ მიიღეს მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მხრიდან.

პუტინის ურყევი სიჯიუტის მომხრეები მიუთითებენ „საფუძვლიან უკმაყოფილებაზე“, რომელიც იწვევს და მუდმივად აძლიერებს ნატოს გაფართოებას. მაგრამ აი, უკვე ორი ათეული წელიწადია, ნატო ხაზგასმით აღნიშნავს თავის მშვიდობიან ზრახვებს, იმ დროს, როდესაც რუსეთი ხდება სულ უფრო აგრესიული და საშიში. თავის პირველი შეხვედრის დროს პუტინთან ბუშმა განაცხადა აღფრთოვანებით: „მე ამ ადამიანს თვალებში შევხედე. ამოვიცანი მისი სული“. მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ პუტინის ვერც ერთმა მკაცრმა და თვითმპყრობელურმა მოქმედებამ ვერ დაარწმუნა დასავლეთის ქვეყნები, მოეშვან მისთვის ისეთი შეფასებების მიცემას, რომ იგია ძვირფასი მოკავშირე ისლამურ ტერორისტთან ბრძოლაში.

არ არსებობდა მიზეზი იმისათვის, რომ ჩვენ დავთანხმებოდით რუსეთის მოთხოვნებს. არ შეიძლება აგრეთვე გულგრილად მოვეკიდოთ და დავამციროთ ეს მოთხოვნები. პუტინს საერთაშორისო არენაზე არ გააჩნია დიდი ნიჭი ცარიელი დაშინებებისა და ობსტრუქციონიზმის გარდა. გაიხსენეთ მისი უხეში ჩარევა უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების დროს, საქართველოს ეკონომიკური ბლოკადა, რუსეთის დემონსტრაციული საქციელი საქართველოდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის მცდელობის დროს, ბოროტი მხარდაჭერა ირანის ბირთვულ სიცრუეში, ხამასთან ცალმხრივი თამაში, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთის დიპლომატიის ჩავარდნას ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში. ეს წინასწარ გათვლილი მტრობაა და არა უბრალოდ იმპულსიური რეაქცია. მაგრამ ნატოს გადაწყვეტილების განსჯისთვის მიზეზი მხოლოდ ეს როდია. ფერადმა რევოლუციებმა საქართველოში 2003 წელს (ვარდებისძ და უკრაინაში 2004 წელს (ნარინჯისფერიძ აჩვენეს კრემლის ტაქტიკის ჩავარდნა მის დამოკიდებულებაში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. პუტინი იყო კორუმპირებული ხელისუფლების მხარეზე, რომელიც ხალხმა დაამხო.

ამ ქვეყნების ნატოში მიღება არა მხოლოდ უსაფრთხოების საკითხია. იგი სიმბოლურია და წარმოადგენს დემოკრატიის წინსვლის კონსოლიდაციას. პუტინი ესაა ბიულეტენების გამყალბებელი დესპოტი, რომლის ბუნებრივი მოკავშირეა ისეთი ადამიანი, როგორიცაა უზბეკი ქარიმოვი. ასეთი ადამიანებისთვის ადამიანის უფლებათა დარღვევა თვითმიზანია. ნატოს წევრი ქვეყნების ნებისმიერი დიპლომატიური მოქმედება პუტინში იწვევს გაღიზიანებას. ამიტომ ჩვენ უნდა ვაკეთოთ სწორი საქმე, მათ შორის, იმათი ხელით, ვისთანაც გვიწევს მეზობლად ცხოვრება.

**ოლივერ კამი**

THE TIMES









№ 64. შაბათი, 5 აპრილი, 2008 წელი.

# სპორტი

● სახელოვან მამულიშვილს, ცნობილ სახელმწიფო და სპორტულ მოღვაწეს, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტს, ბაგრატოვანთა გვარის ღირსეულ შთამომავალს ბატონ ჯანო ბაგრატიონს 70 წელი შეუსრულდა



◎ კალათბურთი

## სამი უცნობი



**სიენას „მონტეპასკი“ ერთადერთია, რომელმაც ევროლიგის „ოთხთა ფინალისკენ“ პლეი-ოფის ორი შეხვედრის შემდეგ გაიკვალა გზა. იტალიურმა კლუბმა სტამბოლში საპასუხო მატჩიც კი უპირატესობით მოუგო „ფენერბახჩეს“ — 86:65 და სერიაში 2:0 გაიმარჯვა.**

დანარჩენ წყვილებში ანგარიში გათანაბრდა — 1:1 და მათ შორის უძლიერესს დამატებითი მესამე დუელი გამოავლენს. განსაკუთრებით ივაჟკაცეს მოსკოველმა არმიელებმა, რომლებმაც საკუთარ დარბაზში დამარცხების შემდეგ პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ რევანში საბერძნეთში აიღეს — 83:73. ცსკა-ს წარმატება მნიშვნელოვანწილად შიშკაუსკასის (20 ქულა, 4 მოხსნაძ, სმოდიშისა და პაპალუკასის კარგმა თამაშმა განაპირობა. მათ გადამწყვეტ ბრძოლას რუსეთის დედაქალაქი უმასპინძლებს.

ერთი მსახიობის თეატრს მოგაგონებდათ „ბარსელონასა“ და „მაკაბის“ ჯახი, რომელშიც სოლისტობა კატალონიელთა იტალიელმა სნაიპერმა ბაზილემ ითავა. სწორედ მისმა 34 ქულამ შეუნარჩუნა ესპანელებს ელიტურ კვარტეტში მოხვედრის შანსი — 83:74. ყოფნა-არყოფნის მეოთხედფინალი აღთქმულ მიწაზეა დანიშნული.

საპასუხო ტყვია გავარდა სერბეთშიც, სადაც ბელგრადის „პარტიზანმა“ უპრობლემოდ სძლია ვიტორიას „ტაუგრესს“ — 76:55. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბასკები მიმდინარე გათამაშების საშინაო რაუნდებში უდანაკარგოდ ასპარეზობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ მეტოქისთვის დასკვნითი ჩხვლეტის მიყენება არ გაუჭირდებათ. თუმცა, ვინ იცის...

◎ ფეხბურთი

## ფანჯარა უეფას თასისკენ

**რუსეთის მოქმედი ჩემპიონი, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ მაქსიმალურად სარგებლობს მისი ფინანსური „კრიშის“ „გაზპრომის“ მფარველობით. ამჯერად ნევისპირელებმა მიზანში**



**უეფას თასი ამოილეს და, რომ იტყვიან, ცალი ფეხით უკვე ნახევარფინალში შეაბიჯეს.** ამის თქმის უფლებას პირველ მეოთხედფინალურ რაუნდში „ლევერკუზენის“ სტუმრად გაცამტვერება გვაძლევს — 4:1 (არშავინი, პოგრებნიაკი, ანიუკოვი, დენისოვი; კისლინგიძ. ამის შემდეგ, დაგვეთანხმებით, „ჩრდილოეთის დედაქალაქში“ დანიშნული საპასუხო მატჩი ფორმალობად იქცევა, ალბათ. რაც შეეხება დანარჩენ წყვილებს, მათ ბრძოლებში ჯერ ყველაფერი ბურუსითაა მოცული: „ბაიერნი“ — „ხეტაფე“ 1:1, „რეინჯერსი“ — „სპორტინგი“ 0:0, „ფიორენტინა“ — „ეინდჰოვენი“ 1:1.

◎ იუბილე

## სიყვარულს იმკის სიკეთის მთესველი

**გუშინ მისი ტელეფონი მთელი დღე არ დადუმებულა — ახლობლები, მეგობრები და ნაცნობები იუბილეს ულოცავდნენ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმაც გამოუგზავნა სითბოთი სავსე ბარათი... სახელოვან მამულიშვილს, ცნობილ სახელმწიფო და სპორტულ მოღვაწეს, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტს, ბაგრატოვანთა გვარის ღირსეულ შთამომავალს ბატონ ჯანო ბაგრატიონს 70 წელი შეუსრულდა.**

**მთელი მისი შეგნებული ცხოვრება უმთავრესად ქართულ სპორტს და ოლიმპიურ მოძრაობას უკავშირდება.**

— ახლა რომ რუსთაველის მეტროა, ბავშვობისას იქ ვცხოვრობდი, — იხსენებს ბატონი ჯანო. — ბებიას თითქმის ყოველ საღამოს დავყავდი ვერის პარკში სასეირნოდ. კალათბურთის მოედნებზე ხშირად ვუყურებდი ტანმაღალი ჭაბუკების პაექრობას. ძალიან მომეწონა და თერთმეტი წლისა თბილისის პიონერთა სასახლეში ცნობილი კალათბურთელისა და მწვრთნელის — თამარ გეგელაშვილის სექციაში ჩავირიცხე. ცოტა ხნის შემდეგ მიხეილ კეკელიძემ „ტონოში“ გადამიყვანა. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების შემადგენლობაში 1956 წელს საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე. იმავე წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი და იქაურ მე-2 გუნდში მიმიღეს.

**— მერე „პროფილი“ რამ შეგაცვლევინათ?**

— ერთ დღეს ვარჯიშზე გიორგი შარაშიძე გვეწვია საბჭოთა კავშირის ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარე კუდრიავცევთან ერთად. სწორედ მათ შემოგვთავაზეს პროფილის შეცვლა.

იმ დღიდან დაიწყო საქართველოს ხელბურთის სწრაფი ტემპით განვითარება. პირველი საკავშირო ჩემპიონატი 1962 წელს კაუნასში გაიმართა, სადაც საქართველოს გუნდმა ოქროს მედლები მოიპოვა. მაშინ ჯანო ბაგრატიონს არ უთამაშია, რადგან ტურნირამდე ორი თვით ადრე მოსკოვის გუნდთან ამხანაგური შეხვედრისას ტრავმა მიიღო.

— 1964 წელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში, — სახეგაბადრული იხსენებს ბატონი ჯანო ოთხი ათეული წლის წინანდელ ამბებს. — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველად მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები, ხელბურთელთა გუნდი კი მეორედ აღზევდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მაშინ ჩემთან ერთად ქართული სპორტის ღირსებას იცავდნენ ჯემალ აბაიშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი, ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, იმედო ფხაკაძე, გარი მაჭავარიანი, თამაზ ანთაძე, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ბორის კოპალეიშვილი, ლერი კარტოზია, ჯემალ ზაქარიაძე — სულ დარჩეული ბიჭები, თითოეულ მათგანს დღეს ნებისმიერი ქვეყნის ნაკრები ინატრებდა...



მომდევნო სამი წლის განმავლობაში „ბურევესტნიკი“ საბჭოთა ხელბურთის მაშინდელმა მამებმა მხოლოდ ვერცხლის მედლებს დაასჯერეს. ბატონმა ჯანომ 1967 წელს აქტიურ სპორტს თავი დაანება. ჯერ მშობლიურ გუნდში მწვრთნელად იმუშავა, მერე 11 წელიწადი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრას ხელმძღვანელობდა, იყო თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1996 წლიდან ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ედგა სათავეში. დღესაც სეოკის საპატიო პრეზიდენტია, სიყვარულსა და პატივისცემას იმკის მუდამ სიკეთის მთესველი. წლების სიმრავლით მხრებდამძიმებული კვლავაც ქართული სპორტის კეთილდღეობისთვის იღვწის.

ჩვენც ვუერთდებით საერთო განწყობას და ბატონ ჯანო ბაგრატიონს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისა და მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით 70 წლის იუბილეს ვულოცავთ.

ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო ჯანო!

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ჯანო ბაგრატიონი და ხუან ანტონიო სამარანჩი; 1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები: მარცხნიდან დგანან — ჯანო ბაგრატიონი, ჯემალ ცერცვაძე, მწვრთნელი გიორგი შარაშენიძე, თამაზ ანთაძე, გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია; სხედან — ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ზაქარიაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, ბორის კოპალეიშვილი და ალექსანდრე ხუციშვილი.**

◎ ორბიტაზე

### ევროპის სიმბოლური ნაკრები

**სპორტული გამოცემების ევროპის ასოციაციამ (ESMძ ტრადიციულად შეადგინა ფეხბურთში ევროპის სიმბოლური ნაკრები მარტში ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით.**

აი, სპორტულმა პრესამ ვინ მიიჩნია სიმბოლურ ნაკრებში შეყვანის ღირსად: ნოიერი („შალკე“ — 36 ხმაძ, პანუჩი („რომა“— 5ძ, ფერდინანდი („მანჩესტერ იუნაიტედი“—4ძ, მეკრესესი („რომა“— 4ძ, კალდევილა („ვილიარეალი“ — 3ძ, კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი-— 10ძ, სენა („ვილიარეალი“ — 4ძ, რიბერი („ბავარია“ — 7ძ, რაული („რეალი“ — 3ძ, ფერნანდო ტორესი („ლივერპული“ — 7ძ, გომესი („შტუტგარტი“ — 5ძ.

### გარი კასპაროვი დაბრუნდა?

**მართალია, პოლიტიკაში გადასული სახელოვანი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი კარგა ხანია წავიდა დიდი ჭადრაკიდან და დაბრუ-**



**ნებასაც აღარ აპირებდა, მაგრამ როგორც ჩეხეთის ჭადრაკის ფედერაციის საიტი იტყობინება, მან პრაღაში გამართულ ერთდროული თამაშის სეანსზე ჩვეული შემართებით იასპარეზა და გაიმარჯვა 26:0.** „გლუბოვა-ნა-ვლატავეს“ ციხე-დარბაზში გამართულ თამაშში მონაწილეობდნენ ცნობილი ჩეხი მეწარმენი და პოლიტიკოსები.

### „ევრო-2012“-ს არ წაართმევენ

**1 და 2 აპრილს მინსკში ვიზიტად მყოფმა ევროპული ფეხბურთის შტაბის თავკაცმა მიშელ პლატინიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილი აუცილებლად პოლონეთსა და უკრაინაში ჩატარდება, მიუხედავად იმისა რომ სამზადისში ერთგვარ სიძნელეებს განიცდიან.**

„უეფას აღმასკომმა ევრო-2012-ის მასპინძლად ეს ქვეყნები აირჩია. ჩვენ პატივს ვცემთ და შევასრულებთ ამ გადაწყვეტილებას. ჩვენ არ გაგვაჩნია A,Б ან C სათადარიგო გეგმები“, — განაცხადა პლატინიმ.

ადრე უეფას თავკაცი სერიოზულ შეშფოთებას აცხადებდა ჩემპიონატის მოსამზადებლად ამ ორ ქვეყანაში მიმდინარე სამუშაოების გამო.



„ჩვენ გამოვალვიძეთ ეს ქვეყნები და ივნისამდე დაველოდებით სიტუაციის განვითარებას“ — თქვა უეფას პრეზიდენტმა.

● **უამრავი ქვეყანა შემოვიარე, ყველგან ასეა. აბა, ქვეყნის მეთაური, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, გასართობად კი არ დაფრინავს ამდენს უცხოეთში – იქიდან სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად ტყუილების პრაქტიკაც შემოაქვს**



## ◉ თითქმის ნატურიდან

# ბიზნესპარლამენტი

**შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ გუშინ პარლამენტის წინ, სადაც ამ ცოტახნის წინათ მოშიმშილეთა კარვები იყო გაშლილი, იცით ვის გადავეყარე? ვანო ერბოწონაშვილს – ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ მთელ საქართველოში საარაკოდ გახმაურებულ ბიზნესმენს, რომელმაც გამილიონერებისთანავე გვარში „ერბო" ამოაგდო (აღარ ევასაძ და ერთ მშვენიერ დღეს ოქროწონაშვილად მოგვევლინა. ესეც არ იკმარა, საასპარეზოდ მშობლიური ქვეყანა ეცოტავა და ბიზნესსამოღვაწეოდ უცხოეთში გადაიხვეწა.**

– ბატონო ვანო, – ვეუბნები, – თვალებს არ ვუჯერებ, მართლა თქვენა ხართ?

– საქმის კაცი გახლავართ და ფაქტს ვერ უარვყოფ, ნამდვილად მე ვარ – ხოზე ვანო, – თქვა თავის კანტურით და ქლესა ღიმილმა ულვაშზე ირიბად გადაურბინა.

– როგორ კაცო, – გავიკვირვე, – გვარი კიდევ გამოიცვალეთ?

– მაშ როგორ, ჩემი გვარის ხათრით უცხოეთში აბა ენას ვინ იღრძობდა?

– ამხელა წონის ბიზნესმენი აქეთ რა ქარმა გადმოგისროლათ?

– სახელისუფლებო ბიზნესქარმა – მომიჭრა მისთვის ჩვეული სისხარტით.

– ბიზნესქარმა?

– ჰო, ვერა ხედავთ, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებამ ხელისუფლებაში რა ბიზნესგრიგალი დაატრიალა?

– ააა, მიგიხვდით, მაჟორიტარობას გიპირებენ?

– ეგრეა, პირადად საქართველოს პრეზიდენტი დამიკავშირდა ვირჯინიის კუნძულებზე.

– საოცარი ვინმეა ეს ჩვენი პრეზიდენტი, – ვერ დავმალე აღფრთოვანება, – თქვენი ბიზნესმენობის ამბავი საიდანღა შეიტყო?

– როგორ თუ საიდან, თქვენი გაზეთის მაშინდელი ნომრები გადაუქექია და...

– პრეზიდენტი, ბატონო, მაშინდელს კი არა, დღევანდელ გაზეთსაც არ კითხულობს. იტყუებით, არა?

– მე კი არა, თავად პრეზიდენტი იტყუება, როცა ამბობს – გაზეთებს არ ვკითხულობო. ვითომ არ იცოდეთ, ახლანდელ პრეზიდენტებს ტყუილი კვრინჩხივით ასხიათ.

– საზღვარგარეთაც, კაცო?

– მაშა. უამრავი ქვეყანა შემოვიარე, ყველგან ასეა. აბა, ქვეყნის მეთაური, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, გასართობად კი არ დაფრინავს ამდენს უცხოეთში – იქიდან სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად ტყუილების პრაქტიკაც შემოაქვს.

– მაგას თავი გავანებოთ,თქვენ რომელ რაიონში აპირებთ მაჟორიტარობას? – ვცადე თემის გადარუება.

– არც ერთში. როგორც უკვე შევთანხმდით,მე ხელისუფლების კონსულტანტ-მრჩეველი ვიქნები ბიზნესის კეთების დარგში.

– ბიზნესისა თუ ფულის კეთების დარგში? – შევეჭვდი.

– ეგ ერთიდაიგივეა.

– არ გამაგიჟოთ, ბატონო ვანო, ხელისუფლება ისედაც გადაიღალა ფულის კეთებით და ამ საქმეში კიდევ თქვენი რჩევები სჭირდება?

– აი, რომ გადაიღალა, სწორედ მაგაში შეცდა.

– რატომ?

– მთავრობის გადაღლა არ შეიძლება, ეს ხალხს ყოველთვის აღიზიანებს და საპროტესტო განწყობას უჩენს.

– გინდათ თქვათ, რომ ანტისამთავრობო გამოსვლები მაგან გამოიწვია?

– აა, ძლივს არ მიხვდით? თუმცა რა, ვიდრე საქმე არ გავურჩიე, ამას თავად მთავრობაც ვერ ხვდებოდა.

– მერე რა ურჩიეთ?

– ფული რამდენიც უნდა აკეთოს,მაგრამ გადაღლას უნდა მოერიდოს.

– როგორ, რა გზით?

– აი იმ გზით, რის გაკეთებასაც უკვე შეუდგა, კერძოდ, ბიზნესპარლამენტის შექმნით.

– ასეთი პარლამენტი რალაც არ გამიგია?

– საიდან გაიგებდით, ჩემი რჩევით ის პირველად საქართველოში იქმნება.

– ეს რა სიკეთეს მოგვიტანს?

– მთავრობა აღარ გადაიტვირთება, ყველა ღონიერ ბიზნესმენს, თავის ფულის ტომრიანად, პარლამენტში მოუყრის თავს და წილში ჩასაჯდომად და ფულის შესაწერად წარამარა წოწიალი აღარ დასჭირდება.

– ფულის ტომრები ღია იქნება თუ პირმოკრული?

– ღია, რა თქმა უნდა, უმაღლეს ხელისუფალთ ხელის ჩაყოფა რომ არ გაუჭირდეთ. ეს თავისთავად ქვეყანაში დემოკრატიასაც გაზრდის და კორუფციასაც საბოლოოდ ამოშანთავს.

– თავად ბიზნესმენ-დეპუტატებს ხომ არ გაურთულებს საქმეს?

– არა, ისინი ჩვეულებრივად გააგრძელებენ ბიზნესს. ერთადერთი რაც დაემატებათ, ეს უკანონო კანონების მიღების დროს პულტზე ხელის დაჭერა იქნება.

– მერე ხალხი?

– ხალხი რომ შეხედავს, მთავრობა კმაყოფილი და დაარხეინებულია, თვითონაც დამშვიდდება.

– ოპოზიცია?

– ოპოზიციას უბრალოდ საქმე აღარ ექნება და გაჩუმდება...

**ოტია ჩართოლანი**

## გახსენება

# სოსო სურმავა



**2008 წლის 7 აპრილს სოსო სურმავას, თვალსაჩინო სოხუმელს, მოსიყვარულე შვილს, ძმას, მეგობარს და ყველასათვის პატივსაცემ ადამიანს 40 წელი შეუსრულდებოდა. ძნელია მასზე საუბარი წარსულ დროში, მძიმეა მისი არ ყოფნა არა მხოლოდ მისი ოჯახის წევრებისთვის და ახლობლებისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისათვის, ვისაც ცხოვრებაში ჰქონდა სოსოს გაცნობისა და მასთან ურთიერთობის ბედნიერება.**

სოსო დაიბადა ქალაქ სოხუმში. 1985 წელს დაამთავრა მე-12 საშუალო სკოლა. აფხაზეთში საომარი მოქმედების პერიოდში სოსომ მშობლიური ქალაქი არ დატოვა და თავისი წვლილიც შეიტანა ომისდროინდელი სოხუმის ცხოვრებაში. სოსოსთვის 1993 წელი აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროში მისი სამუშაო კარიერის დასაწყისი იყო. მთელი ამ წლების განმავლობაში სიცოცხლის ბოლო წუთამდე სოსო თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ძალ-ღონეს არ იშურებდა. ზემო აფხაზეთის აღმშენებლობის დაწყებიდანვე ის აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში და უდიდესი წვლილი შეიტანა რეგიონის განვითარებაში. მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა, სოსო უმძიმეს პირობებში თავდაუზოგავად შრომობდა; ცდილობდა, მთავრობისთვის მიცემული სიტყვა შეესრულებინა და ობიექტები დროზე ადრე ჩაებარებინა. სოსოს უშუალო მონაწილეობით კოდორის ხეობაში 2700 მეტრის სიმაღლეზე დადგეს ჯვარი – 1993 წლის მოვლენების დროს ულელტეხილზე გადმოსული და ტრაგიკულად დაღუპული ქართველების ხსოვნის უკვდავსაყოფად. სოსოს მოქალაქეობრივი და ადამიანური გმირობის არაერთი მაგალითი მუდამ ემახსოვრება არა მხოლოდ ზემო აფხაზეთის მოსახლეობას და მის კოლეგებს, არამედ ქვეყნის ისტორიას. მისი შრომა დაფასდა და მთავრობამ სოსო სურმავა დამსახურებულად დააჯილდოვა საპატიო სიგელით, როგორც წლის საუკეთესო მშენებელი.

მიუხედავად იმისა, რომ სოსომ ადრეულ ასაკში დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება, ის მაინც ბედნიერი ადამიანია – რადგანაც ის იყო ნათელი პიროვნება და რაც მთავარია, ადამიანი -უსაზღვრო სიყვარულით, რითაც მუდამ გვათბობდა, ჩვენს სამარადისო ხსოვნაში დარჩება. სოსო მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, მას ჭეშმარიტად სწამდა ღმერთი. მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი ცხოვრების მანძილზე ყველგან და ყოველთვის სიკეთეს თესავდა. როდესაც მას ჯვარი მაღლა მთაზე, ზემო აფხაზეთში, კოდორის ხეობის ულელტეხილის თავზე აჰქონდა, ის ლოცულობდა იმ დაღუპული ხალხის სულებისთვის. დღეს კი ჩვენ, მისი მეგობრები, ვლოცულობთ, რათა ნათელში იყოს იგი და უფალმა მარადიულ სასუფეველში ამყოფოს მისი კეთილი სული.

სოსო სურმავა ჩვენს გულებში მუდამ ცოცხალი იქნება.

ლევანი, მამუკა, სოსო, ლევანი, გოჩა, თენგო

## ◉ ინფორმაცია

### ყაზახეთში ქართველი ნარკოდილერი დააკავეს

**ყაზახეთში, სამხრეთით მდებარე ქალაქ ალმატიში ქართველი ნარკოდილერი დააკავეს. როგორც ქალაქის სამართალდამცავები იტყობინებიან, დაკავებული ქალაქში არალეგალურად იმყოფებოდა. მათივე ინფორმაციით, დაკავებულმა დანაშაული აღიარა.**

– ის საეჭვოდ იქცეოდა, ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, არც ერთ მეზობელთან არ ურთიერთობდა, ნარკოტიკულ საშუალებას ნებისმიერი ოდენობით ავრცელებდა, როგორც მცირე ნაწილს, ასევე დიდი მოცულობით. თუმცა, ნარკოტიკული ნივთიერება ყოველთვის ერთი და იგივე „ჰეროინი იყო", – აცხადებს ალმატის ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ერლან კებეკბაევი.

ნარკოდილერი ნარკოტიკების რეალიზაციისას ძალიან დიდ სიფრთხილეს იჩენდა, კლიენტს შეხვედრას ყოველთვის ღამით, უკაცრიელ ადგილას უნიშნავდა, 100 გრამის გაყიდვისას კი, რაც კანონმდებლობით მსხვილ პარტიად ითვლება, განსაკუთრებით ფრთხილობდა. ბოლო რეალიზაციისას მან შეხვედრა მყიდველებს ღამის 11:00 საათისთვის სეიფულინის პროსპექტზე დაუნიშნა და გარკვეული თანხის საფასურად ნარკოტიკის დიდი პარტია გაყიდა.

დაკავებულის დოსიეს მიხედვით, ის რუსეთში ქურდული დაჯგუფების წევრი იყო, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ ალმატიში ჩავიდა და ნარკოტიკებით ვაჭრობა წამოიწყო.

დაკავებული პოლიციის დაცვის ქვეშ იმყოფება, მიმდინარეობს გამოძიება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება სამკერვალო კომპანია „იმერის" კრების მოწვევის შესახებ**

**სააქციო საზოგადოების დირექტორი იწვევს აქციონერებს სააქციო საზოგადეობის მორიგ კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 30 აპრილს დღის 16 საათზე. ქუთაისში ასათიანის ქ. ,119-ში.**

დღის წესრიგი:

1. 2007 წლის წლიური ანგარიში

ა) დირექტორის წლიური ანგარიში;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წლიური ანგარიში;

გ) მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება.

3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

5. 2008 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

**დისწულები მამუკა და ჟუჟუნა ვაშაკიძეები, ოჯახებით იუწყებიან**

**გრიგოლ (გრიშაძ წურწუმიას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ვენერა, ნუგზარ, ლეილა და ბორის წურწუმიების ოჯახებს.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს მამუკა ვაშაკიძეს ბიძის**

**გრიგოლ (გრიშაძ წურწუმიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მეუღლე მარინა ვაშაკიძე, შვილები არჩილ, გიორგი, ნინო, და დოდო, ძმა რამაზ ხუნწარიები, რძალი ლერა ჭანკოტაძე, ძმისწულები ირაკლი, ლაშა ხუნწარიები, დისწულები არჩილ, ნინო ოჩიგავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მალხაზ არჩილის ძე ხუნწარია**

**პანაშვიდი 6, 7 IV 16 ს. ჭავჭავაძის გამზ.№8. გამოსვენება სამშაბათს 8 IV 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.**

---

**საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს თანამშრომელი**

**მალვინა სარიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

№ 64. შაბათი, 5 აპრილი, 2008 წელი.

# ბოლო გვერდი

● საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პრეზიდენტის 31 მარტის განკარგულების შესაბამისად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საჯარო სკოლებისთვის კლასგარეშე სახელმძღვანელოებისა და სპორტული ინვენტარის მიწოდებას იწყებს

## ◉ ინფორმაცია

### სახელმძღვანელოები და სპორტული ინვენტარი — სკოლებს

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პრეზიდენტის 31 მარტის განკარგულების შესაბამისად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საჯარო სკოლებისთვის კლასგარეშე სახელმძღვანელოებისა და სპორტული ინვენტარის მიწოდებას იწყებს.**

სამინისტრო ყველა დაინტერესებულ პირს სთხოვს წარმოადგინოს იმ წიგნების



ჩამონათვალი, რომელთა 2271 დაბეჭდილი ეგზემპლარის შემოტანა შესაძლებელი იქნება არა უგვიანეს 10 მაისისა. ამ ჩამონათვალში არ უნდა შედიოდეს ის წიგნები, რომლებიც სკოლებში უკვე შეტანილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში.

გარდა ამისა, სკოლებმა უნდა წარმოადგინონ სპორტული ინვენტარის პაკეტი 700 ლარის ღირებულებით თითოეული სკოლისათვის (სულ 2462 სკოლისთვის), რომელშიც სასურველია შედიოდეს ჯგუფური თამაშებისათვის განკუთვნილი საგნები და იმ სპორტული ინვენტარის ჩამონათვალი, რომლის მიწოდებაც შესაძლებელი იქნება არა უგვიანეს 10 მაისისა.

### პროექტი „სოფლის ექიმი“

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი გუშინ რუსთავში იმყოფებოდა.**

მინისტრი ქვემო ქართლის გუბერნატორს დავით კირკიტაძესთან ერთად რაიონის ექიმებს შეხვდა. შეხვედრაზე სილარიბის დაძლევის 50-დღიანი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პროექტის „სოფლის ექიმის“ პრეზენტაცია შედგა.

ალექსანდრე კვიტაშვილმა აღნიშნული პროექტის განვითარების დეტალებზე და სამოქმედო გეგმაზე ისაუბრა. საუბარი ზოგადად ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებსაც შეეხო.

ალექსანდრე კვიტაშვილმა დარბაზში შეკრებილ ექიმთა კითხვებსაც უპასუხა.

როგორც ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ განაცხადა, „სოფლის ექიმის“ პროექტის რეგიონში განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს დღეებში ქვემო ქართლის რეგიონის 165 სოფლის ექიმს რემონტისათვის საჭირო თანხა — 2000 ლარი გადაერიცხებათ.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ წიგნი

### ტომპსონების გენეტიკა ქართულ მედიცინაში




**ქართულ მედიცინას ახალი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო შეემატა. ჯეიმს და მარგარეტ ტომპსონების წიგნი — „გენეტიკა მედიცინაში“ ის კლასიკური სახელმძღვანელოა, რომელზედაც ამერიკელ ექიმთა რამდენიმე თაობა აღიზარდა. ტომპსონების ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობს მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყანა. ელენე აბზიანიძის რედაქტორობით გამოცემული ტომპსონების „გენეტიკა მედიცინაში“ დღეს უკვე ქართული ლიცენზირებული თარგმანია.**

გენეტიკა XX საუკუნის დასაწყისში შემოიჭრა მედიცინაში და ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა. ქართულ ენაზე კი ამ თემებზე ძალიან მწირი ლიტერატურა არსებობს. სწორედ ამ სურვილმა და ინტერესმა განაპირობა ამ წიგნის თარგმნის საჭიროება.

„გენეტიკა მედიცინაში“ ქართულ ენაზე თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში წარუდგინეს მედიცინის სფეროში მოღვაწეებს. წიგნის ქართულ ენაზე გამომცემელთა შეფასებით, 2007 წელს გამოცემული ეს ტომპსონისეული სახელმძღვანელო სამედიცინო გენეტიკის მთელ უახლეს პანორამას ასახავს. წიგნი შედგება 20 თავისაგან, ეს თავები ერთმანეთზე ისეა გადაჯაჭვული, რომ ცალკეული თავის შესწავლა შეუძლებელია. წიგნში შეტანილია სავარჯიშოები და განხილულია კონკრეტული მაგალითები, რაც ცოდნის სრულყოფის საშუალებას იძლევა. იქვეა მითითებული ლიტერატურა და ვებგვერდები, რაც მკითხველს ამა თუ იმ თემის ღრმად შესწავლაზე მიუთითებს.

სამედიცინო გენეტიკის მეშვეობით ამჟამად შექმნილია მყარი ნიადაგი პერსონალიზებული მედიცინის განვითარებისათვის, რაც დაეხმარება მკურნალს, კონკრეტული პაციენტისათვის წინასწარ განსაზღვროს მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდის ეფექტურობა და უსარგებლობა. წიგნის გამომცემლებს მიაჩნიათ, რომ ეს ახალი კონცეფცია უნდა გახდეს თანამედროვე ექიმის მუშაობის სტილის განუყოფელი ნაწილი.

სამედიცინო უნივერსიტეტში ტომპსონების ნაშრომის პრეზენტაციაზე შეკრებილი მედიკოსები ერთმანეთს ულოცავდნენ ამ უნიკალური წიგნის ქართულ ენაზე მოვლინებას.

პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს პირველი ლედი — სანდრა რულოვსი, რომელიც დაინტერესებულია გენეტიკის საკითხებით და ამ თემებზე სამუშაოდ მისი პატრონატით არაერთი ნაბიჯი გადადგმულა.

„გენეტიკა მედიცინაში“ საკმაოდ დიდი მოცულობის გამოცემაა და ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, მისი ტირაჟი სულ 500 ეგზემპლარია! საკმაოდ ძვირია წიგნის ღირებულებაც, თუმცა იგი უკვე ჩააბარეს ბიბლიოთეკებს და დაინტერესებული სტუდენტებისთვის ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობა ხელმისაწვდომი გახდება...

ტომპსონების წიგნის ქართული ვარიანტის გამომცემლები იმედოვნებენ, რომ „გენეტიკა მედიცინაში“ ქართველი მედიკოსი სტუდენტებისთვის და ექიმთა ფართო წრისათვის ისეთივე სამაგიდო წიგნი იქნება, როგორც მათი დასავლელი კოლეგებისთვის.

**თამარ ბუზალაძე**

## ◉ რუბრიკის პრემიერა
## ბოლო დღეების ტელეესემესების რჩეული:

„ნატოში“ შესაძლო გაწევრებაზე საუბრისას:

**„ნატოში კი არა დეპოში შევდივართ“!..**

* * *

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის დ.იაკობაშვილის საუბრისას:

**„აჩვენეთ ეს კაცი მსოფლიოს და ომი აღარ იქნება“!**

* * *

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის გამოსვლისას:

**„თარხნიშვილი ზედგამოჭრილი დმანისელი ზეზვაა“.**

**რეკლამა** კოსტავას
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ◉ კადრი



## ◉ ანეკდოტები

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! გაქვთ დუმილის უფლება! ყველაფერი, რასაც იტყვით, შეიძლება თქვენს წინააღმდეგ იყოს გამოყენებული!

— შიშველი ქალი.

— რა შიშველი ქალი?

— შიშველი ქალი გამოიყენეთ ჩემს წინააღმდეგ!

* * *

— რამ გადაგაწყვეტინათ არჩევნებში მონაწილეობა? — ეკითხებიან კანდიდატს.



— ნახეთ, რა ხდება! ხელისუფლება ფუფუნების, კორუფციისა და უსაქმურობის ჭაობშია ჩაფლული!

— და თქვენ გსურთ ამის წინააღმდეგ ბრძოლა?

— რატომ? ყველაფერ ამაში მსურს მონაწილეობა.

* * *

ჯორჯ ბუში:

— მე მას თვალებში ჩავხედე და დავრწმუნდი, რომ იგი ძალიან პირდაპირი და პატიოსანი კაცია.

ვლადიმერ პუტინი:

— მე მას თვალებში ჩავხედე და დავრწმუნდი, რომ იგი იდიოტია, რომელიც საერთოდ ვერ ერკვევა ადამიანებში.

* * *

შეფი თავის ოფისში შედის და პირად მდივანს ეუბნება:

— მე ჩაი შემომიტანე, ჩემს თანაშემწეებს ამ სამ უცხოელ დებილს კი — ყავა...

— ორ დებილს, მე თარჯიმანი ვარ, — ისმის კაბინეტიდან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.